სპორტი ბაზარი

№23 (756)
ოთხშაბათი
26 ივნისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

გამარჯვება, ბიჭებო!!!

შეხვედრა უკრაინელ ბავშვებთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრ გიორგი ამილახვართან ერთად, უკრაინელ მოსწავლეებს შეხვდა, რომლებიც საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, საზაფხულო ბანაკში ისვენებენ. მთავრობის მეთაური ბავშვებს გაესაუბრა და მათ ვახშამზე უმასპინძლა.

ბანაკი 15 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით უკრაინიდან ჩამოსული მოსწავლეებისა და ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეების შვილების ორ ნაკადს უმასპინძლებს.

პირველ ეტაპზე ბანაკის სტუმრები ქალაქ ხარკოვიდან ჩამოსული მოსწავლეები არიან, რომლებმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს და ქართულ და უკრაინულ ენებზე სიმღერები შეასრულეს.

უკრაინელი მოსწავლეები ორი კვირის განმავლობაში მრავალფეროვან კულტურულ-შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას. ბანაკის სტუმრებისთვის ასევე მოეწყობა ექსკურსიები თბილისში, ბოდბეში, გრემსა და ნეკრესში.

ჩვენ ჩვენი ბაიდენი გვყავს!

ამ ქალს რა უსაშველო სჭირს, რა უნდა?

სოციალური ქსელი გადავსებულია მოთხოვნებითა და ლანძღვით, რადგან კანონი ვერ ერევა, ჩვენ გამოვათრიოთ თმებით ორბელიანის სასახლიდან და მოვისროლოთ საქართველოდან ეს საზიზღარი ჯაშუში, ძალად პრეზიდენტიო. ეს კი მაინც არ ჩერდება, ითხოვს და ითხოვს საქართველოს გაცამტვერებას, უჩივის და უჩივის საქართველოს. ჯერ მისი ჩიქორთული ქართული არ გაიშვა და მერე კიდევ, ვინც მას ტექსტებს უწერს, ხომ უნდა მოიკითხო დედა-ბუდიანად!

ეს ქალი რომ საკუთარი ტვინით არ აზროვნებს და საკუთარი სურვილებით არ მოქმედებს, ვიცით, ჰოდა, რაღა ეს და რაღა ბაიდენი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ეს ქალი ჯერ სულებს არ ესალმება და მედლებს უკუღმა არ ჰკიდებს დასაჯილდოვებელ პირებს, არც უკრაინა და ვიეტნამი ერევა ერთმანეთში. სხვამხრივ კი, არაფერი განსხვავებაა, ორივე ბაიდენის ადმინისტრაციის თოჯინაა, ერთი მამრის იერსახით, მეორე — მდედრის. მოკლედ, ჩვენ ჩვენი ბაიდენი გვყავს!

ეს ქალი იმდენად მომართულია საქართველოსთვის ზიანის მიყენებაზე, რომ ლამის უყვიროს საქართველოს ელჩებს, ქენით რამე, ნუ იჯერებთ და ნურც იმ ქვეყნებს აჯერებთ, სადაც ელჩებად ხართ მივლინებულები, რომ საქართველო ევროპულ გზას მიჰყვებაო; ე ბიჯო, ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის არა ჩვეულებრივი არჩევნები 26 ოქტომბერს ჩატარდება, მაგრამ თქვენთვის არჩევანის დრო უკვე დადგა და რას გატრუნულხართ მაგ ბერლინში და ისმენთ ამ ტყუილებს რასაც „ქართული ოცნება“ აყლეურებს, რამე მოიმოქმედეთო.

არც წუწუნი დაავიწყდა, — არც დიპლომატიის დღეზე, არც ამბასადორზე და არც სხვა რომელიმე სხვა ღონისძიებაზე არ მომეცა საშუალება, რომ მომემართაო; სხვადასხვა ქვეყანაში რომ ვარ, იქაც ვერ ვხვდებით ერთმანეთს გარკვეული მიზეზების გამო და ახლა, შუაგულ ევროპაში რომ ხართ, ბერლინში, აქ მაინც დაგაწევთ წერილადო. ეს მავნებელი ქალი ისე უტიფრად ამბობს, „გარკვეული მიზეზების გამოო“, თითქოს იმ ქართველმა ელჩებმა არ იცოდნენ, რა არის ამ „კოჭლი იხვის“ „გარკვეული მიზეზები.“ ამ ქალს რატომღაც ჰგონია, რომ უცხო ქვეყნებთან მისი გოშიობის გამო, მის გარშემო უნდა იტრიალოს სრულიად დასავლეთმა, საქართველომ და ნახევარმა მსოფლიომ მაინც.

ლამის იკივლოს, რანაირად ამბობს „ქართული ოცნება“, რომ 2030 წელს თუ როდის, არ ვიცი, მაინც შევა ევროკავშირშიო? არგუმენტად საკუთარი თავი მოჰყავს, შაბათ-კვირას შვეიცარიაში ვიყავი, სადაც პრაქტიკულად ყველა ევროპელ ლიდერს შევხვდი და ისინი მეკითხებოდნენ, რანაირად გავიგოთ, რომ საქართველო მაინც შევა ევროკავშირში, „მაინც“ რას ნიშნავსო?

ჩვენ და საქართველოს ელჩებს აგვიხსნა, თუ ვიღაც სხვებს ჩააბარა ანგარიში, ვერ მივხვდი, რომ „მაინც“ ნიშნავს, ევროკავშირში „მაინც“ შესვლას იმის მიუხედავად, რომ „ქართული ოცნება“ რუსულ

კანონებს იღებს და არა მხოლოდ ამ ერთ კანონს; რომ არ ასრულებს არცერთ იმ რეფორმას, რომელიც საჭიროა ამ გზაზე და, შესაბამისად, ევროკავშირში შესასვლელად.

ამ ქალმა ვერ გაიგო, რომ საქართველოს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არ გადადგამს არცერთ ნაბიჯს, რაც საქართველოსთვის საზიანო იქნება და იმ ევროკავშირშიც, თუ ვუნდივართ ან გეოსტრატეგიული ჰაბობის გამო მაინც ვჭირდებით, ისეთები უნდა მიგვიღონ, როგორებიც საუკუნეებია მოვდივართ. თუმცა, რანაირად უნდა გაეგო, ის ხომ მხოლოდ გვარით დარჩა ქართველად და არა მენტალიტეტით...

თურმე თეთრი შურით შეშურებია მოლდოვის პრეზიდენტისა, რომელმაც ხელი მოაწერა დელეგაციის შემადგენლობას და აგერ-აგერ დაიწყებს ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებებს, საქართველო კი ისევ უკან არის ჩამორჩენილი, კვლავ „არადემოკრატიულად“ და „რუსულად“ მიჩანჩალებს დიდი ევროპული ოჯახისკენ. ამ ქალმა ვითომ არ იცის, რეალურად რა ვითარებაა გაპარტახებულ მოლდოვაში, კორუფცია რა დონეზეა, ან როგორ არის ფეხქვეშგათელილი ადამიანის უფლებები და თავისუფლება და არც ის იცის ვითომ, რომ ყველაფერი დიდი აფიორაა, სადმე მიღება იქნება თუ რაიმე ევროპული კონკურსის მოგება, პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და არა — დამსახურებაზე...

ეჰ, სალომე, შენ ქართველობა მოგცა და მე ფული — ვისაც რა გვაკლია!..

ეტყობა, მანაც და მისი ტექსტის ავტორმაც იფიქრეს, მოდი, ცოტა თავიც მოვუქონოთ ჩვენს ელჩებს, ეგენიც ხალხნი არიან, ქართველები, ეამებათო და გაუბერა, თქვენ ის პროფესიონალი დიპლომატები ხართ, ყოველ შემთხვევაში, დიდწილად (ვიღაცებს მაინც უკბინა, მისი ჭკუით), რომლებიც აქამდე სწორედ ჩვენს ევროპულ გზაზე მუშაობდით და რომლებსაც ძალიან დიდი წვლილი გაქვთ შეტანილი იმ მიღწევაში, რომელიც არცერთ მთავრობასა და არცერთ ხელისუფლებას არ ეკუთვნისო.

ეს ტაკიმასხარა დემაგოგი ქალი!

ოღონდ „ქართული ოცნების“ მთავრობა და ხელისუფლება არ ახსენოს დადებით კონტექსტში და ყველას ყველაფერ სიკეთეს მიაწერს, ტკბილ სიტყვებს საქართველოს მოქალაქეებისთვისაც კი გაიმეტებს. მხოლოდ ის არ ახსენდება, „ბაიდენს იმართებს“, უახლოეს წარსულში მისი მაგინებელი, ახლა კი ფარისევლურად მასთან შემძვრალი „ნაცშპანა“, ერთობლივად თუ ცალ-ცალკე, ლამის რომ ევედრებოდნენ ევროპელ დიპლომატებს, მისივე თამადობით, არ მისცეთ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდადიტის სტატუსი, არ იმსახურებსო.

ლამის ტანსაცმლიდან ამოხტეს, დღეს საქართველოში საშინელება ხდება, იმ ხალხის ღალატია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან საქართველოს ევროპულ გზაზე ოცნებობდაო.

გააგებინეთ ამ ქალს, ნამდვილი საქართველო იმაზე ოცნებობდა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ და არა ევროპის ან სხვა რომელიმე ქვეყნის კოლონიობაზე! ის კიდევ ცალკე საკითხია, როცა „ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა...“ თუმცა, ვნახოთ, ჩვენ რას გამოვიტანთ, როცა „რაც შეიტანა, — ისევე ის გამოიტანა, იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“...

ქართულ ლექსად ნაფიქრის ამოთქმაში ჩაღრმავების დრო სად აქვს ამ ქალს, უცხოელი ბატონის დავალებები აქვს შესასრულებელი!

ისეთი რამ უთხრა ელჩებს, ამ დრომდე ვერ მივხვდი, ვინ დააშინა ამდენი ელჩი, ერთმა ბიძინა ივანიშვილმა თუ მთლიანად „ქართულმა ოცნებამ“. არა, მაინც რა უთხრა?

„მე დღეს მტკივა თქვენ მაგივრად და თქვენთვის, რომ ამ მდგომარეობაში ხართ, გაურკვევლობაში, როცა ერთი რამ უნდა თქვათ და მეორე რამ გწამთ. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, თქვენ გწამთ იმისი, რაც გწამდათ აქამდე. მინდა, ამაში დარწმუნებული ვიყო“, — ხმით ტირილიღა აკლია, რა!

მე ვერ მივხვდი, ვინ და როგორ შეიძლება აიძულებდეს ელჩებს, ასე კი არა, ისე უნდა თქვაო, იტყვის და დამთავრებულია საქმე, სიტყვა გასროლილი ქვასავით არის, უკან აღარ ბრუნდება — მერე თუნდ დატოვოს ელჩობა, თავის სათქმელს მაინც იტყვის...

ან რა იცის ამ ქალმა, რომელ ელჩს რა სწამდა, რისი სწამს და რას იწამებს, რას მიედ-მოედება სამარცხვინოდ?

სახელდახელოდ ისევ შეცვალა ჰანგი და სწრაფადვე ელჩების დამუნათებაზე გადავიდა, საჯარო მოხელეებს არ მოგეთხოვებათ, რაღაცნაირად პასუხისმგებლობა აიღოთ იმაზე, რასაც გკარნახობენ, მაგრამ უცხო ქვეყნებში რომ ხართ, მით უმეტეს, ევროკავშირში და საქართველოს წარმოადგენთ, არ ხართ ჩვეულებრივ მდგომარეობაში და არც ჩვეულებრივი საჯარო მოხელეები ხართ, ბევრად მეტი პასუხისმგებლობა გაქვთ, რადგან თქვენ ქვეყანას წარმოადგენთ და არა მთავრობასო.

ის კი მესამე პირში მჭევრმეტყველებდა, მაგრამ მე შევცვალე მიმართვის პირიანობა, რადგან რეალურად ასე მიმართავდა. მენიშნა — ვერ გაბედა პირველ პირში მიმართვა და ამ უტიფარი ქალისგან ძალზე გამიკვირდა!

მოკლედ, მთავრობები მიდიან და მოდიან — კი არაფერს გასწავლით, ან კი არაფერს გკარნახობთ, მაგრამ ახლა გაქვთ არჩევანის დროო.

მაშასადამე, ამ ქალის აზრით, საქართველოს ელჩებმა ახლა ფეხი უნდა იშვირონ მასავით, გადმოაგდონ საქართველოსთვის მავნებლური 5-მეტრიანი ენა, საქართველოსა და „ქართული ოცნების“ ლანძღვა დაიწყონ უცხო ქვეყნებში და ამით ღირსეული მამულიშვილები გახდებიან?

რა იცის ამ ქალმა მამულიშვილობა, „მამული“ მხოლოდ პირად საკუთრებაში არსებული მიწის მონაკვეთი ჰგონია, ალბათ...

ქვეყნის პრეზიდენტობასა და ქალობას ერთნაირად როგორ უნდა გიგინებდეს შენივე ქვეყნის ხალხი?!

ხალხი აფურთხებდეს და რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო, ამბობდეს, როგორ უნდა შეეძლოს, რა სინდის-ნამუსგარეცხილი ადამიანი უნდა იყოს ასეთი!...

მაია ჯელიძე

როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, პირველად გადავდგით პრაქტიკული ნაბიჯი

გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი, დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი:

- ბატონო გურამ, აშშ-ის ელჩის, რობინ დანიგანის შეურაცხმყოფელ განცხადებას, ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, საქართველოში ჩინეთის საელჩომ უპასუხა და ის არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. ელჩის ეს განაცხადი, გარკვეულწილად, ჩინეთის სახელმწიფოსთვისაც შეურაცხმყოფელი იქნებოდა...

- თავისთავად! ჯერ კიდევ 2022 წლის ნოემბერში „ხალხის ძალამ“ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობასთან მიმართებაში აღვნიშნეთ, რომ ეს იყო „ვასალური დამოკიდებულება“ და მახსოვს, როგორი აჟიოტაჟი გამოიწვია მაშინ ამან. დღეს უკვე, ორი წლის შემდეგ, ამას იმეორებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები, მათ შორის, თურქეთის პრეზიდენტი, რადგან მსგავსი დამოკიდებულება ამერიკის მხრიდან, სამწუხაროდ, უკვე ყველასთვის ხილული გახდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს წარმომადგენელი პირდაპირ ადანაშაულებს ამერიკის ელჩს არაპროფესიონალიზმში. გამომდინარე იქიდან, რომ რობინ დანიგანი, ისეთ მასშტაბურ პროექტზე, როგორიც ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტია, არასწორ ინფორმაციას ავრცელებს. ელჩის არაპროფესიონალურმა გამოსვლამ გამოიწვია სწორედ ჩინეთის სახელმწიფო წარმომადგენლის სრულიად სამართლიანი რეაქცია.

როდესაც ხაზარაძეს ჰქონდა ჩაბარებული ანაკლიის პორტის მშენებლობა, ვერცერთი ინვესტორი ვერ მოიწვია მან, მაგრამ გამოაცხადა, რომ ჩინურ კომპანიებს ჩაადებინებდა ინვესტიციებს. ანუ, მაშინ მისაღები ყოფილა და დღეს უკვე, როცა არცერთმა ამერიკულმა კომპანიამ მონაწილეობაც კი არ მიიღო სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში - ჩინური კომპანია მიუღებელია?! თუ საქართველოს, როგორც პარტნიორ ქვეყანას, ისე უყურებ, თუ გინდა, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარდეს - რატომ ატყუებ საზოგადოებას, რომ თითქოს ჩინეთი დაღდასმული სახელმწიფოა, რადგან რუსეთს აფინანსებს და ჩვენ მასთან ურთიერთობა არ უნდა გვქონდეს?!

მე ვკითხე ამერიკის ელჩს, ხომ იგივე ჩინეთზე საუბრობთ, რომელთანაც თქვენ გაქვთ ურთიერთობა-მეთქი?! ხომ იგივე ჩინეთია ეს, რომელთანაც მის პრეზიდენტს აქვს ურთიერთობა, ევროკავშირს აქვს ურთიერთობა?! არამხოლოდ ურთიერთობებზეა საუბარი, - 700 მილიარდზე მეტი ბრუნვა აქვს ჩინეთს ამერიკასთან ყოველწლიურად, 35 მილიარდზე მეტი ჩინური ინვესტიცია ხორციელდება ყოველწლიურად ამერიკაში და მარტივად რომ ავხსნათ, რა სავაჭრო ბრუნვაც აქვს ამერიკას 10 საათის განმავლობაში ჩინეთთან, ის გვაქვს ჩვენ ერთი წლის განმავლობაში! ამით ჩვენ გვეუბნებიან, რომ, როცა მათ ეხება საკითხი, ჩინეთი დემოკრატიული სახელმწიფოა, ხოლო როცა ჩვენ გვეხება - მაშინ ხდება, თურმე, ეს ქვეყანა დიქტატორული სახელმწიფო.

ეს დაინახა ქართველმა საზოგადოებამ და აღმოჩნდა, რომ ძალიან კარგად დაინახა ჩინეთის სახელმწიფომაც. ამიტომ ჩვენ მზად ვართ, მოხდეს ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ე. წ. გადატვირთვა, რათა მათ პარტნიორული თვალით შეხედონ საქართველოს.

ევროკავშირის 27 ელჩიდან უმეტესობა დღესაც აქ ზის, რომლებმაც წელიწადნახევრის წინ შეურაცხმყოფელი დემარში განახორციელეს იუსტიციის მინისტრთან, სააკაშვილის გამოშვების მიზნით. სულ ცოტა ხანში კი, სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლომ თავზე დაახურა მათ სააკაშვილის საქმე და თქვა, რომ არავითარი წამებული ის არ არის, რომ განაჩენი სწორად არის გამოტანილი. არც ბოდიში მოუხდიათ და არც განმარტება გაუკეთებიათ ელჩებს ამის გამო. მათ შორის, არც იმაზე უთქვამთ რამე, რომ ევროკავშირის ხელმძღვანელობას ჩინეთთან მილიარდზე მეტი სავაჭრო ბრუნვა აქვს წელიწადში, - შვეიცარიას, საერთოდაც, სავაჭრო შეთანხმება აქვს ჩინეთთან... ამერიკის ელჩს კი, როგორი დავალებაც უნდა მისცენ მას, იმდენი წონა როგორ არ უნდა ჰქონდეს, თქვას, რომ ეს არ არის სწორი განცხადება. თუ ამერიკას და ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ პარტნიორული ურთიერთობები ჩინეთთან, საქართველოს რა მიზეზით არ უნდა ჰქონდეს?!

- უკვე აშკარად იკვეთება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან ორმაგი სტანდარტები, რასაც არამხოლოდ ქართველი საზოგადოება - მსოფლიო ხედავს.

- თუ ადრე ვცდილობდით, კულისებიდან გამოგვეტანა სიმართლე და ხალხისთვის გვეთქვა, ეს ახლა აღარ გვჭირდება, რადგან თვითონვე ღიად ამბობენ ყველაფერს. ეს უკვე მხოლოდ ორმაგი სტანდარტიც აღარ არის, ეს არის შეურაცხყოფა, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა. საქართველო ყველას სჭირდება, როგორც შემდგარი სახელმწიფო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკას სჭირდება, როგორც არშემდგარი სახელმწიფო, რადგან აშკარად გამოიკვეთა თუნდაც გამჭვირვალობის კანონთან დაკავშირებთ, ორმაგი სტანდარტი. ასევე განაცხადეს ამერიკაში მოქმედ კანონზე, რომ გამჭვირვალობა მათთვის აუცილებელი და კარგია, ჩვენთვის კი - ცუდი. კანადაში კარგია, საფრანგეთში კარგია, ისრაელში კარგია, ევროკავშირში კარგია გამჭვირვალობის კანონი, რომელიც გაცილებით მკაცრი სანქციებით მოქმედებს, - მხოლოდ საქართველოში არის ცუდი! ეს ორმაგი სტანდარტი ხალხმა დაინახა, რასაც ახლა კიდევ უფრო მაღალი ხარისხის ორმაგი სტანდარტი დაემატა ჩინეთთან ურთიერთობის „აკრძალვის“ სახით. გამოვიდეს ელჩი და აგვიხსნას, რას ნიშნავს ეს? - უნდათ, რომ მთლიანად ამერიკაზე ვიყოთ დამოკიდებული?! ეს არის მათი განაცხადი, მაგრამ ჩვენ არა ვართ თანახმა! გადახედონ საქართველოს ისტორიას, ასწლეულებია, სუვერენიტეტისთვის ვიბრძვით და ვიცით, ეს რაც არის! ჩვენ არა გვაქვს იმხელა რესურსი და ინფრასტრუქტურა, როგორც მათ, მაგრამ, სამაგიეროდ, გონიერება გვაქვს, მინიმუმ, სამიათასწლიანი კოდი გვაქვს და ვიცით, რას ნიშნავს სტუმარი, მასპინძელი და როგორ უნდა დავიცვათ ქვეყნის სუვერენიტეტი. შენ თუ სასოფლო-სამეურნეო სფეროში კიტრის და პომიდვრის მოყვანას დამიფინანსებ, ამისთვის მე სუვერენიტეტს ვერ დაგითმობ. მადლობას გადაგიხდი, რომ მაფინანსებ, ბევრ საჭირო საქმეში გვერდით მიდგახარ, მაგრამ თუ მთხოვ, რომ ამ ყველაფერში სუვერენიტეტი დაგითმო, - ამას ვერ ვიზამ! ამის გულისთვის ჩვენი წინაპრები სიცოცხლეს თმობდნენ და თუ არ იცი ჩვენი ისტორია, სხვას მაინც წააკითხე, რომ გაიგო, რას ნიშნავს საქართველოსთვის სუვერენიტეტი!

სუვერენიტეტს ვერ დავთმობთ იმის გამო, რომ ის ყბადაღებული ექვსი მილიარდი დაგვახარჯეს. ვეხვეწებით და ცოცხალი თავით არ აქვეყნებენ, ოცდაათი წლის განმავლობაში სად რა თანხა დახარჯეს! იმ ორ მილიარდზე აღარაფერს ვამბობ, რომლის შეღავათიც ჰქონდა აშშ-ს ავღანეთსა და ერაყში, საერთაშორისო მისიებში, სადაც ჩვენმა ბიჭებმა სიცოცხლე და ჯანმრთელობა გაიღეს. ასეთი პატარა ქვეყანა გვერდში ამოგიდექი, რადგან მინდა მყავდეს მეგობარი დიდი შესაძლებლობებით, მაგრამ თურმე ეს მეგობარი ბრაზობს, როცა გავბედავ და ჩემს სახელმწიფოში, ჩემივე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებ. ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია.

გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებით, პატარა საქართველომ შეძლო და პირველად გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, რადგან ვთქვით, რომ ეს ჩვენ გვჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ უპრეცედენტო ზეწოლა იყო - ჩვენ ეს ნაბიჯი მაინც გადავდგით. შემდეგ უკვე, სხვა ქვეყნებშიც თქვეს, რომ, თუ პატარა ქვეყანამ შეძლო და ამერიკისა და ევროპის ზეწოლის მიუხედავად მაინც მიიღო, მოდი, ჩვენც მივიღოთ ეს კანონიო! მოხარული ვარ, რომ „ხალხის ძალის“ მიერ ერთი წლის წინ დაინიცირებული კანონპროექტი დღეს უკვე მსოფლიოში „დაიარება“ და, მართალია, გამკაცრებული ფორმით, მაგრამ მაინც ბევრ ქვეყანაში მიიღეს. ესეც ორმაგი სტანდარტის მტკიცებულებაა. პრაქტიკულად, ვეღარც ავუდივართ ამ მტკიცებულებების მოგროვებას, იმდენი დაგროვდა მათ საწინააღმდეგოდ და ჩვენ სასარგებლოდ.

- „ხალხის ძალის“ განცხადებით, თუკი სასწორზე სტრატეგიული პარტნიორობა და ქვეყნის სუვერენიტეტი დაიდება, საქართველო ირჩევს სუვერენიტეტს, - პრინციპული განაცხადია!

- სტრატეგიული პარტნიორობა აბსტრაქცია არ არის. მას უნდა მოჰყვეს შესაბამისი ქმედებები, აი, მაგალითად, ჩინეთთან სტრატეგიული ურთიერთობა სულ ცოტა ხნის წინ დავიწყეთ, რასაც ვიზალიბერალიზაცია, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება და სამომავლო პერსპექტივები მოჰყვა. 30 წელია, სტრატეგიულ ურთიერთობაზე ვსაუბრობთ აშშ-სთან და შედეგად მივიღეთ მათივე დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, სადაც წერია, რომ 2023 წელს რუსეთის მოქალაქეების მხოლოდ 39 პროცენტს უთხრეს უარი ვიზაზე, საქართველოს ყოველი მეორე მოქალაქე კი დაასანქციერეს და ვიზა არ მისცეს. ამ დროს, გვეუბნებიან, რომ ქართველ ხალხთან მეგობრობენ, ოკუპანტი ქვეყანა კი სანქციების ქვეშ ჰყავთ. ეს არის შენი სტრატეგიული პარტნიორობა, როცა მეუბნები, რომ რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში უნდა შევიდე და შენ, ვითომ, გვერდში დამიდგები?! მე მგონი, საქართველო განვითარებად ქვეყნად მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ აქ წერა-კითხვაც არ იციან ადამიანებმა!

- საპარლამენტო კომიტეტმა ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონი მიიღო, რასაც ასევე ეწინააღმდეგება ჩვენი ოპოზიცია. რაო, ესეც რუსული კანონიაო?!

- დაიწყეს „რუსული შობიდან“ და მოყვნენ მერე, რომ ყველაფერი რუსულია, რაც ქართულ იდენტობასთან არის დაკავშირებული. დიახ, ახლა ველოდები ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადებას, რომ ეს ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონპროექტიც არის „რუსული კანონი“, და რომ ისინი ემიჯნებიან ამ კანონს! თქვა კიდევაც ეს უკვე რომან გოცირიძემ, მაგრამ აბა, გაბედონ და თქვან, რომ ემხრობიან ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, ემხრობიან გეიპარადების ჩატარებას, ემხრობიან, რომ ტრანსგენდერები ოფიციალურად არსებობდნენ და ასე შემდეგ... დაინახავენ, როგორი იქნება მათივე ამომრჩევლის რეაქცია არჩევნებზე. თუკი ისინი ფიქრობენ, რომ ოჯახური სიწმინდის დაცვა, გამჭვირვალობა და ქვეყნის უსაფრთხოება „რუსული კანონია“, ნახავენ, როგორ მიიღებს ამას მათი ქართველი ამომრჩეველი. რადგან ეროვნულ დროშას მათ ლგბტ დროშა ურჩევნიათ, დაიჭირონ მაშინ ეს დროშა ხელში და იარონ. პასუხს ამ ყველაფერზე 26 ოქტომბერს მიიღებენ.

ნონა ქარქაშაძე

ევროპას საკუთარი ადგილი ჯერ ნაპოვნი არ აქვს

— ბატონო რამაზ, ბერლინში „ამბასადორიალი-2024“ გაიმართა, სადაც პრემიერი ქართველ დიპლომატებს შეხვდა. კობახიძემ კანადაში უცხოური გამჭვირვალობის კანონის მიღებაც შეაფასა და აღნიშნა, რომ ყველა ქვეყანა სუვერენიტეტის დაცვისთვის ზრუნავს.

— იმის განცდა, რომ პრობლემა კანონშია, საერთოდ არ მაქვს. პარლამენტს განსახილველად ნებისმიერი სხვა ქაღალდი, უბრალოდ, წითელი ნაჭერიც რომ შემოეტანა და აეფრიალებინა, შედეგი იგივე იქნებოდა. კანონი მხოლოდ საბაბია, მიზეზი კი ის რთული ურთიერთობებია, რომლის ცენტრშიც ახლა აღმოვჩნდით. ჩვენ ქართული პოლიტიკის გატარება მოგვიწევს. კერძოდ, აშშ-ის ელჩმა კიდეც აღნიშნა, რომ ჩინეთთან საქართველოს ურთიერთობა ამერიკისთვის მიუღებელია. შედეგად, თუ ქვეყნის ხელისუფლება მათთვის მიუღებელ ქმედებას სჩადის, მაშინ ის უნდა შეიცვალოს. ადრეც ასე იყო, მათთვის მიუღებელი ხელისუფლებები საქართველოში „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ძალებმა ჩაანაცვლეს, უკრაინაში კი „ნარინჯისფერი რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ. ამ პროცესებში ამერიკელებიც მონაწილეობდნენ და ნაწილობრივ რუსებიც. შევარდნაძე ბალანსს იცავდა, თუმცა მაინც ჩაანაცვლეს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ სურდეთ, იმ ხელისუფლებას, რომელიც მსოფლიოს გასაგონად ღიად აცხადებს: დასავლეთი საქართველოში გადატრიალებას გეგმავსო, წყალი შეუყენონ. ჩვენი ქვეყანა, ასევე, მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, რომ ომში არ ჩაერთვება. მესამე და მთავარი გახლავთ ჩინეთის საკითხი, რომელიც ამერიკის ნომერ პირველი მტერია.

ამერიკა ამ შემთხვევაში ჩინეთს საქართველოს ტერიტორიაზე ებრძვის. რა გასაკვირია, რომ ამ ბრძოლაში ჩვეული ხერხები გამოიყენოს და ხელისუფლების შეცვლა სცადოს. ჩვენ აკვიატებული გვაქვს, ამერიკა პარტნიორი ქვეყნაა და ასე რატომ გვექცევაო. კი ბატონო, ის ისევ პარტნიორად დარჩება, ოღონდ სხვა ხელისუფლების პირობებში. ასეთია მისი სურვილი. ის პარტნიორობაზე კი არ ამბობს უარს, ხელისუფლებას აკრიტიკებს და მისი შეცვლა უნდა და არა ურთიერთობებისა, რადგან ვუყვარვართ. დიახ, ვუყვარვართ. აი, მაგალითად, შინაური ცხოველები ხომ უყვართ, ბოჩოლა, ძროხა. მას წველიან კიდეც, თან ეფერებიან, მაგრამ მერე შეიძლება დაკლან.

— გერმანიის ელჩმა ამას წინათ აღნიშნა, რომ საქართველოსთან მოლაპარაკებების გახსნას მხარს არ დაუჭერს. მიზეზად ისევ კანონის მიღებას ასახელებენ. როგორ გაგრძელდება დასავლეთთან ურთიერთობა?

— ვერ გეტყვით, უდავოდ რთული შეკითხვაა. ხელისუფლებას აკრიტიკებენ, რაში სჭირდებოდათ ახლა ამ კანონის უკან შემობრუნებაო. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ ბრძოლა ზაფხულში გამართულიყო, თანაც ასეთ დროს ხელისუფლების შეცვლის მცდელობა ფუჭი იქნება, რადგან მისი „ხავერდოვანი“ შეცვლა ლეგიტიმური მხოლოდ არჩევნების დროს არის — ვრცელდება ვერსია, თითქოს არჩევნები გაყალბდა, რის გამოც მერე ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვის. ასე მოხდა 2003 წელსაც. ეს ჯინ შარპის მეთოდებია, რომელმაც წიგნი დაწერა, სადაც 198 რეკომენდაციაა მოცემული, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება. ოღონდ, შარპი საუბრობს იმაზე, თუ როგორ უნდა შეიცვალოს დიქტატურა დემოკრატიით. ქართველი პოლიტიკოსებიც ამ წესებს მიჰყვებიან, ოღონდ მათთვის მთავარია, ხელისუფლება შეიცვალოს, დიქტატურა დემოკრატიით იცვლება თუ პირიქით, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. აქვე გავიხსენოთ ზურაბიშვილის მიმართვა დიპლომატებისადმი: არჩევნები 26 ოქტომბერს არის, მაგრამ თქვენთვის არჩევანის დრო უკვე დადგაო. რა წერია შარპის 198 რეკომენდაციაში? — დიპლომატებმა თავიანთ სტატუსზე უარი უნდა თქვან, რათა მსოფლიოს ყურადღება მიიქციონო. ჩვეულებრივი ჩინოვნიკის გადადგომა მსოფლიოს ყურადღების მიზეზად ვერ იქცევა, აი, დიპლომატის დემარში კი სულ სხვა საქმეა. ეს პუნქტი შარპის წიგნშია შეტანილი. ამდენად, ზურაბიშვილმა მისი რეცეპტი გაახმოვანა. შარპის „თხზულება“ აქაც უნდა გამოიცეს, რათა ჩვეულებრივი მოქალაქეები მიხვდნენ, რასთან აქვთ საქმე.

— ევროატლანტიკური საბჭოს უფროსმა მკვლევარმა ქართველ ხალხს არჩევნებზე მისვლისა და ევროატლანტიკური კურსის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. ხელისუფლებას პრორუსულს ეძახიან. რა გამოდის, ნაცების მხარდაჭერისკენ მოგვიწოდებენ?

— ნებისმიერ დაპირისპირებაში იარლიყები ჩნდება. მაგალითად, როცა ბავშვები ერთმანეთს უპირისპირდებიან, თუ ბიჭი ტირილს იწყებს, გოგო ხომ არ ხარო, ეუბნებიან. ახლა ასეთი იარლიყია მოდაში — დასავლეთი გვეუბნება, თუ იმას არ აირჩევ ვინც მე მსურს, მაშინ პრორუსი ხარო. თუ მათ სურვილებს არ დაემორჩილები, ე. ი. დიქტატურა გაქვს ქვეყანაში გამეფებული და სხვა ამგვარი. ჩინეთსაც აწებებენ დიქტატურის, რუსეთთან ასოცირებული ქვეყნის იარლიყს, მაგრამ მას ეს არ ანაღვლებს. იარლიყებს თურქეთს, აზერბაიჯანსაც აწებებენ. ასე რომ, „მსხვერპლი“ მხოლოდ ჩვენ არ ვართ, უბრალოდ, სხვებზე დაჩაგრული ვართ. ჩინეთი, თურქეთი დიდი ქვეყნებია, აზერბაიჯანს კი თურქეთი იცავს. ჩვენ დაბალ ღობე ვართ, ამიტომ, ვისაც არ ეზარება, ყველა ჭკუას გვასწავლის, რათა ამერიკას ასიამოვნონ. ჩვენზე შტურმის განხორციელება ამერიკას სჭირდება. საქართველოს მიმართ საერთაშორისო პოლიტიკური ბულინგი ხორციელდება, რაც იმისთვის სჭირდებათ, რომ ჩინეთის და საქართველოს ურთიერთობას ხელი შეუშალონ. თან, ჩინეთს კი არ ეჭიდავებიან, არამედ საქართველოს საყვედურობენ, ჩვენთან ურთიერთობები თქვენ თვითონ გააფუჭეთო. ახლა ერთ ამბავში არიან, ანაკლიის პორტი ჩინეთს არ ააშენებინოთო. ავი ძაღლივით გამოსდით — არც თვითონ უნდათ ამ საქმეში ფულის ჩადება და ჩინეთის შემოყვანასაც ეწინააღმდეგებიან.

— დიახ, დანიგანმა გვკითხა, რატომ უნდა გააღრმავოთ ეკონომიკური კავშირი იმ პარტიასთან, რომელიც ოკუპანტს აფინანსებსო?

— ესეც ბულინგის ერთგვარი ხერხია. ყველაზე კარგად ეს ტერმინი საქართველოში მუშაობს — ადამიანებს ურეკავენ და რუსი ხარო, ეძახიან. ჩემს კორპუსს უზარმაზარი წარწერა — „მონებო“ „ამშვენებს“. საქმე ის არის, რომ ამ კორპუსში საცხოვრებლად „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტიური წევრი გადმოვიდა და ბულინგის შემცველი წარწერაც უმალ გაჩნდა. ანალოგიურად ბულინგის შემცველია ფრაზა — ჩინეთთან რა გინდათ, ის ხომ რუსეთს ეხმარებაო. ჩინეთს რუსეთთან ფრთხილი ურთიერთობა აქვს. საინტერესოა, რეალურად ახდენს თუ არა ჩინეთი რუსეთის შეიარაღებას. ამის არგუმენტები არსად იძებნება. ვფიქრობ, ჩინეთი რუსეთს არც შეაიარაღებს ერთი მარტივი მიზეზის გამო: ის დაინტერესებულია რუსეთის ტერიტორიების დაუფლებაში. ნახევარი ციმბირი უკვე მითვისებული აქვს. თუ რუსეთი უკრაინის ომში დამარცხდება, ჩინეთი დასუსტებული ქვეყნისგან მეტ სარგებელს ნახავს, შესაძლოა, ურალსაც დაეპატრონოს. დავფიქრდეთ, ჩინეთს რომელსაც ადამიანთა სიმრავლე აწუხებს და ტერიტორიები სჭირდება, ძლიერი რუსეთი აწყობს?! მეორეც, ბაიდენმა საჯაროდ თქვა, რუსეთის დაშლა არ შეიძლებაო. ბაიდენი ევროპას აფრთხილებს, ჩინეთი რუსეთმა უნდა შეაჩეროს, თუ არადა, ცუდ დღეში აღმოჩნდებითო. ეს ხომ გულისხმობს შემდეგს: ჩინეთის ინტერესში ძლიერი რუსეთი არ შედის. პირიქით, სუსტი რუსეთი ბაიდენის კონკურენტის ინტერესშია. ჩინეთი პოლიტიკურ შეფასებების გაკეთებას არ ჩქარობს, ელოდება დროს, როცა თავისი სიტყვები ბუმერანგად აღარ მოუბრუნდება. ასე რომ, ის რუსეთს მეგობრობას ჰპირდება და მასთან ერთად დიდ გაერთიანებას ქმნის, რომელიც, რა ფორმას მიიღებს, კაცმა არ იცის. ჩინეთს ფეხზე მდგომი რუსეთი კი სჭირდება, მაგრამ იმდენად დასუსტებული, რომ არაფერში შეეწინააღმდეგოს. ასეთია რუსულ-ჩინური ურთიერთობის ლოგიკა.

— ევროკავშირის არჩევნები როგორ აისახება საქართველოზე, მოლოდინები გამართლდა?

— მოლოდინები, ზოგადად, ყოველთვის გადაჭარბებულია. ახლაც ასე მოხდა. ველოდით, რომ მსოფლიო 180 გრადუსით შეტრიალდებოდა, თუმცა კონსერვატიზმისკენ მცირე ძვრა არის. ევროპული პოლიტიკა ელიტების ცვლილებისკენ მიდის. ანალიტიკოსებიც ამბობენ: ევროპელი ხალხი მოწადინებულია პოლიტიკური ელიტა შეცვალოს, რადგან მას, მინიმუმ, ომის გახანგრძლივება არ აწყობს. იუთუბზე ასეთ დისკუსიას შევესწარი, სადაც ამბობდნენ: ევროპა საკუთარი თავის წინააღმდეგ მოქმედებს. ომის გახანგრძლივება ამერიკის ინტერესშია, მაგრამ მის გამო ევროპა ამ ომს ემხრობა და შეძლებისდაგვარად მხარსაც უჭერსო. ანალოგიური მდგომარეობაა ჩინეთთან ურთიერთობის კუთხითაც — აქაც ევროპა საკუთარი თავის წინააღმდეგ მოქმედებს. მას აწყობს კავკასიაზე გამავალი ჩინეთის სატრანზიტო ხაზი, რადგან ეს პროდუქცია მასთან მიდის, ჩვენ მხოლოდ გზა ვართ. მაგრამ ამერიკის გამო ჩინეთის და ამ ტრანზიტის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება აქვს. ასე რომ, ამერიკის ხათრით, ევროპა ისეთ ნაბიჯს დგამს, რაც მისთვის სახიფათოა.

ვიცით, რომ საფრანგეთში რიგგარეშე არჩევნები ახლოვდება, რამაც შესაძლოა, ევროპელების დამოკიდებულება მათი ლიდერების, პოლიტიკური მდგომარეობის მიმართ, მნიშვნელოვნად შეცვალოს. ევროკავშირის არჩევნებმა ეს ტენდენცია მცირედ გამოხატა, თუმცა ევროპელ ხალხს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, რადგან უკრაინაში ომი ჯერ ისევ გრძელდება, აღმოსავლეთთან ურთიერთობებიც გართულებულია. ევროპას პოლიტიკურ პროცესებში საკუთარი ადგილი ნაპოვნი ჯერ კიდევ არ აქვს. ის ამერიკის დანამატია. თავად ამერიკას ჩინეთთან სწორი ინტონაცია შერჩეული არ აქვს. ის ახლა ჩინეთთან დაპირისპირებაშია, არადა, მშვიდობიანი თანაარსებობა, ეკონომიკური კუთხით, შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს, ანუ, მთელ რიგ პოლიტიკურ საერთაშორისო პროცესებს საბოლოო სახე ჯერ არ მიუღია. ამიტომ ევროკავშირის არჩევნები მოლოდინებს ბოლომდე არ დაემთხვა. არსებობს მოლოდინი, რომ პროცესები უფრო კონსერვატიული პოლიტიკური ელიტის შექმნისკენ წავა. პროცესები ჯერ მკაფიოდ გამოკვეთილი არაა.

— კობახიძე ყურადღებას ამერიკასთან გადატვირთვის პოლიტიკაზე ამახვილებს...

— მოკლედ გიპასუხებთ, რას მოიცავს ეს საკუთარ თავში: ამერიკის მხრიდან ხავერდოვანი რევოლუციებისკენ პროცესების წაყვანისა და ნაცების აღდგენის მცდელობა უნდა შეწყდეს, ხოლო საქართველოს მხრიდან, ამერიკის მიმართ რიტორიკა უფრო ხავერდოვანი გახდეს.

თამარ შველიძე

„თუ სათავე მღვრიეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა“, - ეს სიტყვები დიდ ერისკაცს, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. თემა, რომელიც საინფორმაციო ანალიტიკური პოტრალის, ფორ.გე-ს მთავარ რედაქტორთან, გიორგი იაკობაშვილთან სასაუბროდ ავირჩიე, მარტივად საფიქრალი და დასაწერი ნამდვილად არ იყო, თუმცა, ისევ ილია მოვიშველიე, რის მიხედვითაც „მოყვარეს პირში უნდა უძრახო...“ და იმ იმედით, რომ „კარგი გამგონე“ წაიკითხავს, დაწერაც გადავწყვიტე:

რამდენიმე თვის განმავლობაში რუსთაველის გამზირზე მოტყუებულ ახალგაზრდებს ვუყურებდით, რომლებსაც, სავარაუდოდ, მიაჩნდათ, რომ იგივე საქმეს ემსახურებოდნენ, რასაც მათი მშობლების თაობა - 1989 წლის 9 აპრილს, როცა იმავე გამზირზე იდგნენ. რა იქნება ხვალ, ვინ გადაიბარებს ჩვენს ქვეყანას და მართლაც, „ვინ მოდის მანდ, მომავლიდან“?! - ინტერვიუდან შეიტყობთ!

ვხედავთ, რომ ჩვენი თაობის გარეწრები ესტაფეტას შემდეგი თაობის გარეწრებს გადასცემენ

გიორგი იაკობაშვილი:

- შეიძლება მოგატყუონ ნარდში, კარტში, დომინოში, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ მოგატყუებენ, მით უფრო, როდესაც პროცესი დროშია გაწელილი. დავიწყოთ გასული წლის მარტით და დავასრულოთ წლევანდელი აპრილ-მაისის აქციებით. წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ამ ადამიანებს ჰქონდათ საშუალება, ჩაეხედათ კანონპროექტში, წაეკითხათ, ვინმესთვის ეკითხათ, მოესმინათ, რასთან გვაქვს საქმე, რაზეა ლაპარაკი, გარკვეულიყვნენ... და აღარ იქნებოდა ის, რაც იყო.

არ მიყვარს განზოგადება, მაგრამ დასაწყისშივე ვიტყვი, რომ კონკრეტულად იმ ახალგაზრდებზე ვსაუბრობთ, რომლებიც აქციებში მონაწილეობდნენ. ეს სხვა თემაა. პროცენტულად თუ ავიღებთ, შეიძლება ქართველი ახალგაზრდობის 5 პროცენტიც არ იდგა მთელ ამ პერიოდში რუსთაველზე. რა თქმა უნდა, იყო ფულადი დაინტერესება, მოტყუებაც, მაგრამ რამდენჯერ შეიძლება მოგატყუონ ადამიანი?! გამოდის, რომ ჯანსაღად ვერ აზროვნებ, ან გარეწარი ხარ! არ მინდა, ჩემი გენეტიკის მქონე ამდენ ადამიანზე ვიფიქრო, რომ ვერ აზროვნებენ, მაგრამ თუ ასე არ არის, ესე იგი, გარეწრები არიან, ხომ ასეა?! აქ უკვე დილემის წინაშე ვდგები და რა ვუწოდო მათ, აღარ ვიცი! თუ უტვინო ხარ, უფასო ლუდი, უფასო კონცერტი და მნიშვნელობა არა აქვს არც ლობიანის, არც ლუდის და არც კონცერტის ხარისხს, მთავარია, იყოს უფასო, - მუქთა! 2003 წელს, ე. წ. წვიმის მუსიკოსები რომ გამოიყვანეს „ვარდების რევოლუციის“ დროს, ამით ხალხი მიიტყუეს და ფონი შექმნეს, რომ თითქოს ქართველმა ხალხმა მოაწყო „ვარდების რევოლუცია“, თორემ სინამდვილეში, ერთი მუჭა გარეწრები იყვნენ ეგენი. ასე იყო ახლაც.

- მშობლების თაობას რომ „წინაპრებად“ მოგვიხსენიებენ და ამბობენ, რომ მათი „წინაპრები“ იდგნენ რუსთაველზე 9 აპრილს, ეს უცოდინრობის ბრალია, თუ ამით ჩვენს „ყავლგასულობას“ უსვამენ ხაზს?

- მოგვიხსენიონ, ჯანდაბას, მაგრამ მათი დამოკიდებულება, ზოგადად, უფროს თაობასთან, მათივე არასრულფასოვნების კომპლექსზე მეტყველებს. წინაპრებს რომ უწოდებენ თავიანთი მშობლების თაობას, იმ ადამიანებს, რომელთაგან ბევრი მხოლოდ 50 წლის არის, მე ვფიქრობ, რომ ეს არცოდნის კი არა, უფრო ზრდილობის ამბავია. მათ „წინაპრობა“ დაცინვა ჰგონიათ, ამიტომ ამბობენ. სიტყვა „წინაპარი“ მათთვის გადაშენებულთან ასოცირება, რომელსაც ხმა არ ამოეღება, იმიტომ, რომ ჭკუა არ მოეკითხება.

ცუდია, მაგრამ გერეწარი უფრო იმიტომ ხარ, რომ ნანუკა ჟორჟოლიანის მოწოდებულ ლობიანს იღებ, მის დაძახილზე გამორბიხარ და მათ გვერდით დგახარ! ესენი არიან ორმაგი სახის მქონე ადამიანები: ერთი სახეა ლაზარე გრიგორიადისი, რომელიც ადამიანებს ცოცხლად დასაწვავად იმეტებს, მეორე კი არის უჩა აბაშიძე, რომელიც საკუთარ ცოლზე პორნოგრაფიებს წერს და გარშემომყოფებს აშანტაჟებს. არის მესამე სახეც - ნიკო მანაგაძე, იგივე პავლიკ მოროზოვი, რომელიც „პარტიის“ გამო საკუთარ მშობელს უპირისპირდება. ასე რომ, ესენი არიან მოძალადეები, გარყვნილები და „პავლიკ მოროზოვები“!

მათ უნდათ უფასო ლობიანი, უფასო ლუდი, უფასო კონცერტი, ოღონდ ეს ყველაფერი ... ...

საქართველო დღეს ეგზისტენციური საფრთხის წინაშეა!

გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი თამარ კიკნაძე:

— ქალბატონო თამარ, დასავლეთი მესამე მსოფლიო ომზე ალაპარაკდა. უნგრეთში გამართული დიდი მარშის შემდეგ ორბანმა განაცხადა, რომ უკრაინის ომი შეიძლება შეფასდეს, როგორც მესამე მსოფლიო ომის პრელუდია...

— პუტინმა ომის შესაჩერებლად პეტერბურგის სამიტზე ორი ძირითადი პირობა დააყენა: დასავლეთმა ოკუპირებული ტერიტორიები უნდა აღიაროს, ხოლო უკრაინის დანჩენილი ნაწილი არცერთ სამხედრო ბლოკში არ გაწევრიანდეს, რაზეც ზელენსკიმ უარი განაცხადა. უკრაინის პრეზიდენტი პროქსი ადამიანია და თავად სახელმწიფოც პროქსია. მის უკან დასავლეთი დგას, რომელსაც მიაჩნია, რომ ჯერ ზავის დრო არ დამდგარა. ერთი რამ ცხადია: რაც მეტი დრო გავა და უკრაინა ზავის პირობებს არ დასთანხმდება, სამომავლოდ ეს პირობები მისთვის უფრო გაუარესდება. რაც შეეხება გლობალურ მესამე მსოფლიო ომს, მსოფლიო წესრიგის შესახებ არსებობს თეორიები, თუ როგორ იცვლება ერთი მსოფლიო წესრიგი მეორით. ჩვენ სწორედ ამ სტადიაში ვართ. მსოფლიო წესრიგის ცვლილება ყოველთვის დიდ კატაკლიზმებთან, გლობალურ ომებთან არის დაკავშირებული. ამ წესრიგს თავისი ფასეულობები, საერთაშორისო სამართლის ნორმები, ინსტიტუციები გააჩნია, რომლებიც ამ წესრიგის შენარჩუნებას უზრუნველყოფენ.

ლოკალური ომები საბოლოოდ ერთიან გლობალურ ომად გარდაიქმნება, რომელიც ძველს ყველაფერს ჩარეცხავს და აჩენს ახალ ლიდერს თავისი ფასეულობებით. უკრაინა მძიმე ვითარებაშია. დასავლეთი მის სამხედრო შეიარაღებას არ წყვეტს, მაგრამ ეს რუსეთის დასამარცხებლად საკმარისი არ არის. დასავლეთისთვის საინტერესო თავად ომის პროცესია, რითაც ხეირს უდიდესი სამხედრო-სამრეწველო კომპანიები ნახულობენ. ამიტომაც აქვთ ომის გაგრძელების ინტერესი. ეს, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომია, სადაც ორი მოძმე ერი ერთმანეთს ხოცავს. პარალელურად, უკრაინის ომის ეგიდით, სანქციებით, ევროპის დასუსტებაც ხდება. რაც შეეხება რუსეთს, პარადოქსია, მაგრამ სანქციებმა ის უფრო გააძლიერა. რუსი ექსპერტები ამბობენ: სანქციები რომ არ ყოფილიყო, სპეციალურად უნდა გამოგვეგონებინაო. სწორედ სანქციებმა განაპირობა ის, რომ რუსებმა საკუთარი მრეწველობის, მთელი რიგი სფეროების განვითარებაზე ფიქრი დაიწყეს. თუ თეორიებს დავეყრდნობით, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია, რადგან ის ახალი მსოფლიო წესრიგის შესაქმნელად არის საჭირო. მაგრამ ვითარება რთულია — აშშ-ს არ აწყობს, რუსეთი ბოლომდე გასწიროს, რადგან ეს გეოპოლიტიკურ ბალანსს დაარღვევს. ექსპერტების მოსაზრებით, უკრაინელების გამო ამერიკელები რუსებს ბოლომდე ნამდვილად არ გასწირავენ, რადგან ისინი სხვა გეოპოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდებათ. აქვე გეტყვით, რომ

დასავლეთში არსებობს გარკვეული შიში იმისა, რომ რუსეთმა ტაქტიკური ატომური იარაღი არ გამოიყენს. მოკლედ, მიდის ვაჭრობა, მუსკულების თამაში.

— ნატო-ს საიუბილეო სამიტი ახლოვდება. რა მოლოდინი გაქვთ?

— საქართველო, უკრაინა და მოლდოვა არ მგონია, ამ ეტაპზე, ნატო-ში გააწევრიანონ, რადგან აქ ისევ რუსეთის ფაქტორი იკვეთება. დასავლეთი, ვირს სტაფილოს რომ დაუკიდებენ, სწორედ ისე გვექცევა ჩვენც და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც — ხან ასპირანტი ქვეყანა ვართ, ხან დოქტორანტი და ა. შ. არც იმედს გვიწურავენ და არც გვიღებენ. ეს ტიპური, დროში გაწელილი პროცედურებია. თანაც ნატო-ში გადაწყვეტილებები კონსენსუსის გზით მიიღება. თუ რომელიმე ქვეყნის გაწევრიანება არ აწყობთ, ყოველთვის მოიძებნება ერთი-ორი წევრი სახელმწიფო, რომელიც ამ გადაწყვეტილებას დაბლოკავს. ასე რომ, გადაწყვეტილებები პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე მიიღება და საერთოდ არ არის დამოკიდებული იმაზე, დემოკრატიულია თუ არა ესა თუ ის ქვეყანა.

— დასავლეთიდან საქართველოზე ზეწოლა არ წყდება...

— საქართველო ტიპური ნეოკოლონიალური ქვეყანაა. გამჭვირვალობის კანონის ამოქმედებით, გარკვეული ძალები უდიდესი ფინანსური მოგების მიღების საშუალებას კარგავენ. როცა ზემოთ მსოფლიო წესრიგის ინსტიტუციები ვახსენე, ვიგულისხმე ის ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიო წესრიგის გამყარებას უზრუნველყოფენ (ნჯო-ები, მედია, გავლენის აგენტები). ისინი ქვეყნის გარედან ფინანსდებიან და აქ იმ რეჟიმის შენარჩუნებას უწყობენ ხელს, რაც დღეს დასავლეთისთვის არის ხელსაყრელი. რეზისტენცია ამ გავლენების დაკარგვის შიშითაა განპირობებული.

საქართველოში ევროპასთან შედარებითაც კი, პროდუქცია, საწვავიც კი სამჯერ უფრო ძვირია. ეს იმ ფინანსური რეჟიმის დამსახურებაა, რაც დღეს კარტელური გარიგებებიდან გამომდინარე არსებობს. ჩვენი ქვეყნის ფინანსურ მხარეში უცხო ძალები რომ არ ერეოდნენ, საქართველოში ცხოვრების დონე გაცილებით მაღალი იქნებოდა. ბანკის მიერ დაწესებული მაღალი პროცენტი სესხზე, საქართველოს მოსახლეობისთვის მძიმე ტვირთია. სწორედ დღეს მიდის ამის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც გამჭვირვალობის კანონით დაიწყო და ასეთი საშინელი წინააღმდეგობა ამიტომაც არის. აღნიშნული კანონით გარკვეული ძალები დიდ შემოსავალს კარგავენ, რაც წესით, ხალხის მონაპოვარი უნდა იყოს და მას მოხმარდეს.

— გარე ძალები ჩვენს სუვერენიტეტზე როგორ რეაგირებენ?

— ცუდად. ისინი გვეუბნებიან, რომ ასეთი დამოუკიდებლები არ უნდა ვიყოთ და ჩვენს სუვერენიტეტს ეწინააღმდეგებიან. მეტიც, სუვერენიტეტის განმტკიცების თემაზე ხელისუფლების რიტორიკა აღიზიანებთ და ხან სანქციებით აშინებენ, ხან რეპრესიული ზომებით, რასაც ვითომ ადამიანის უფლებებით, დემოკრატიული ფასეულობებით ფუთავენ. სინამდვილეში, ამ ყველაფერს სულ სხვა საფუძველი აქვს. გადავხედოთ თუნდაც ჩვენ მიმართ დამოკიდებულებას — საქართველო გაცილებით უფრო დემოკრატიულია, მეტი რეფორმაც გატარდა, ვიდრე უკრაინასა და მოლდოვაში, მაგრამ მათ გაუხსნეს მოლაპარაკებები, ჩვენ — არა.

— ჰელსინკის კომისიის განხილვა 2024 წლის არჩევნებსაც შეეხო. მიგვითითეს, რომ ქართველმა ხალხმა არჩევანი დასავლეთსა და რუსეთს შორის უნდა გააკეთოს...

— საინტერესოა, მათი გაგებით ვინ წარმოადგენს დასავლეთს? — „ნაცმოძრაობა“ და ძმანი მისნი, რომელთაც მოსახლეობა ვერ იტანს. ეს არის დემოკრატია? სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნისას, არ მახსენდება, ვინმეს დარღვევებზე ესაუბროს. ეს იყო პოლპოტას რეჟიმის მსგავსი რამ, რაზეც დასავლეთიდან ხმა არავის ამოუღია, თუნდაც 7 ნოემბრის, 26 მაისის დარბევებზე. ახლა გაიძახიან: პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენაო, როცა საერთოდ არავითარი ძალა არ გამოუყენებია. საქმე ორმაგ სტანდარტთან გვაქვს.

დაფარული არავისთვის არის, რომ შემოდინებული ფულით, ჯინ შარპის და აკერმანის დირექტივებით, ახალგაზრდების მომზადება ხდება, ვინც შემდგომ საქართველოს წინააღმდეგ უნდა გამოიყენონ. ახალგაზრდები, რომლებიც ყველაზე უფრო პასიონარული ძალაა, ამ ქმედებების გამო თავიანთ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ. მათ, ფაქტობრივად, ბრმა იარაღად იყენებენ. ახალგაზრდებს ყოველთვის ვეუბნები: ნებისმიერი არეულობა, დესტრუქცია საქართველოს ძალიან ძვირად, სახელმწიფოებრიობის დაკარგვად დაუჯდება. თუმცა ისინი მოსალოდნელ საფრთხეს მაინც არად დაგიდევენ. ამიტომაც იყო საჭირო ამ კანონის მიღება, რათა საფრთხე განეიტრალებულიყო.

— გასულ კვირას შავი ზღვის უსაფრთხოების ფორუმი გაიმართა. გონჩარენკომ განაცხადა: უკრაინა რეგიონში ლიდერია და კონკრეტული გადაწყვეტილებები უნდა მიიღოსო...

— რა გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს უკრაინამ, ის, ფაქტობრივად, როგორც გითხარით, დასავლეთის პროქსი ძალაა. რუსეთი უკრაინას მისი გავლენის სფეროდ განიხილავს. რატომ დაიწყო ყირიმის ოკუპაცია? — იმიტომ, რომ სევასტოპოლში რუსების სამხედრო ფლოტის ბაზირების ადგილი იყო. ყირიმი 1783 წლიდან, ისტორიულად, რუსეთის შემადგენლობაშია. ეკატერინე მეორეს დროს მისი შემოერთება მოხდა. 1954 წლის შემდეგ ის უკრაინის შემადგენლობაში დარჩა. რუსეთს ყირიმის ანექსირება რომ არ მოეხდინა, შავ ზღვაზე ფლოტის არსებობის საშუალებას საერთოდ კარგავდა. ბევრი ჩვენი თანამემამულე მიიჩნევს, რომ რუსები ამ მიწებით ვერ ძღებიან და ანექსიას იმიტომ ახდენენ. აქ წმინდა გეოპოლიტიკური ინტერესებია. რუსეთ-უკრაინის ომი ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

— უკრაინის რადამ ივანიშვილის დასანქცირება მოითხოვა...

— აქ უკვე ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებზეა ლაპარაკი. უკრაინაში ყველაზე დიდი ჰუმანიტარული ტვრთი ჩვენ გავგზავნეთ, მაგრამ გაღიზიანებას იწვევს ის, რომ ამ ომში არ ჩავერთეთ. არადა, მოწოდებები მუდმივად ჟღერდებოდა. თურმე, უკრაინა უფრო დემოკრატიული ქვეყანაა და დასავლეთის საშინაო დავალებებს კარგად ასრულებს. რეალურად, ვხედავთ, ამან რაც მოუტანა უკრაინას — მოსახლეობა განახევრებულია. ჩვენც მაინცდამაინც უკრაინის დღეში უნდა ჩაგვაგდონ, რომ დემოკრატიულ ქვეყნად გვაღიარონ?! ამიტომ ჩვენ საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე უნდა ვიფიქროთ. რა თქმა უნდა, ივანიშვილი მათთვის არ არის მისაღები პერსონა, რადგან იგი მუდმივად ეროვნულ ინტერესებს აფიქსირებს, რაც არ მოსწონთ. დღეს ჩვენ ეგზისტენციონალური საფრთხის წინაშე ვდგავართ. ამერიკაში სეირნობა და ქვეყნის განადგურება სჯობს, თუ ცოტა მოთმინება და ქვეყნის განვითარება?! საამისოდ ძალიან კარგი პერსპექტივები გვაქვს.

თამარ შველიძე

საქართველო დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ხიდია და არა - დერეფანი

გვესაუბრება სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძე:

— ბატონო ზურაბ, დასავლეთი მოგვიწოდებს, რომ ქართველმა ხალხმა 2024 წლის 26 ოქტომბერს არჩევანი დასავლეთსა და რუსეთს შორის გავაკეთოთ...

— დიახ, ქვეყნის არჩევანთან დაკავშირებით დიდ დაპირისპირებებს ვაწყდებით. გამუდმებით იმაზე მსჯელობენ, გადაუხვია თუ არა საქართველომ თავის ორიენტირს, საგარეო ვექტორს. ასეთ უსაგნო საუბრებს უნდა შევეშვათ. დავსვათ შეკითხვა: რას წარმოადგენს საქართველოსთვის არჩევანი? ან აქვს თუ არა ის ქვეყანას? არჩევანი ფუფუნებაა, რომლის გაკეთების უფლება ქართულ სახელმწიფოს არ აქვს, რადგან მისი არჩევანი მისი ბედისწერით არის ნაკარნახევი. არჩევანი შეიძლება ჰქონდეს ხელისუფალს, რაც, შესაძლოა, ქვეყნის არჩევანს ან დაემთხვეს, ან მასთან წინააღმდეგობაში მოვიდეს. თუ ხელისუფალის არჩევანი ქვეყნისას ემთხვევა, გამოდის, რომ ის სახელმწიფოებრივად აზროვნებს. ხოლო თუ ეს არჩევანი საკუთარ კეთილდღეობაზეა მორგებული, ასე შედეგი ვერ მიიღწევა. პირველ შემთხვევაში ხელისუფლება სახელმწიფოს ემსახურება, მეორე შემთხვევაში კი, თავად იმსახურებს ქვეყანას.

მთავარია, სწორად ამოვიცნოთ, რაში მდგომარეობს ჩვენი ქვეყნის რეალური მისია (ფუნქცია) და მის რეალიზაციას მოვემსახუროთ. ვგულისხმობ, ვიპოვოთ ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული ფუნქციის შესაფერისი ადგილი. ჩვენ ქვეყნებთან კი არა, ბუნებასთან ჰარმონიაში უნდა ვიყოთ. თუ სახელმწიფოს გადარჩენა გვინდა, გარე ძალებთან დაპირისპირებაში არ უნდა შევიდეთ. მით უმეტეს, იმ ძალებთან, რომელთანაც არათანაბარ პირობებში ვიმყოფებით. ასე მათ ერთ ლუკმად არ ვეყოფით. მტერი უნდა გაანეიტრალო. შესაძლებლობის შემთხვევაში იგი ნეიტრალურ პოზიციაზე მოკავშირედ უნდა აქციო, მოკავშირე კი, მტრად კი არა — თანამონაწილედ. საქართველოს პრაგმატული პოლიტიკის წარმოება სჭირდება, რაც ქვეყნის მიზანს უნდა . მიზანი გაცხადებული უნდა იყოს და თან მისი რეალიზაციის სამოქმედო გეგმაც არსებობდეს. ანუ, საუბარია ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გზაზე ისე, რომ თვით პროცესი ლეგიტიმური — ყველასთვის მისაღები და შეუქცევადი გავხადოთ. კარგად გავიაზროთ, რა მოცემულობაში იმყოფება დღეს საქართველო, რა არის ჩვენი — პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ზღურბლზე მყოფი, უსისტემო დემონტაჟის შედეგი, მისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები? როგორ შევცვალოთ ვითარება? ცალკე აღებული ქართული სახელმწიფო თავის არსებულ ყოფას კარდინალურად ვერ შეცვლის, თუ თავად მოცემულობა არ შეცვალა.

— ბატონო ზურაბ, მუდმივად გვესმის მუქარები, გააუქმეთ გამჭვირვალობის კანონი, თორემ ევროპაში არ მიგიღებთო.

— ჩვენ ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი საწყისი ვართ. ევროატლანტიკური კურსიდან როგორ უნდა გადავუხვიოთ, როცა ევროპა საქართველოს არჩევანი კი არა, ბედისწერაა. ევროპა ფასეულობებზე დგას. ეს ზოგადსაკაცობრიო, ზოგადქართული ფასეულობებია, რომლებიც, ძირითადად, ანტიკური სამყაროს გონიერებასა და ქრისტიანული სამყაროს ზნეობრივი საფუძვლების სინთეზს ეყრდნობა. ამ ჰარმონიამ ევროპული რენესანსი განსაზღვრა, რაც საქართველოსთან იდენტურია. მოდი, მათი მნიშვნელობა ცალ-ცალკე განვიხილოთ. რამდენი საუკუნით უსწრებს საქართველოში არსებული საგანმანათლებლო კერები ევროპულს? ასეთი კერები ევროპაში შუა საუკუნეებში გაჩნდა. საქართველოში კი გელათის აკადემია და შემდგომ იყალთო სამი-ოთხი საუკუნით ადრე არსებობდა. ჩვენს სამშობლოში, ოფიციალურად, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია 326 წელს გახდა. ნათელია, რამდენი საუკუნით წინ ვუსწრებთ ევროპას. გელათის აკადემია გონისა და სულიერების ჰარმონიის სიმბოლოზე აღმოცენდა, რამაც ქართული კულტურის ოქროს ხანა შვა. სხუა ათინას და მეორე იერუსალიმსაც სწორედ ამიტომ უწოდებენ. ნურც ახალი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში დაარსებული ფაზისის აკადემია დაგვავიწყდება, რომლის ანალოგი არ არსებობს. ასე რომ, ჩვენ ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აკვანი ვართ. ამ დროს რას გვეუბნებიან — ევროპულ სახლში დაბრუნდითო. ეს სახლი ჩვენი შექმნილია, საქართველო ერთ-ერთი ფუნდამენტი, საყრდენია. ჰოდა, როგორ იქნება ევროპა ჩვენი არჩევანი?! ვიმეორებ, ის არჩევანი კი არა, ჩვენი ბედისწერაა. რას ნიშნავს ჩვენი ევროპელობა? — იმას, რომ ჩვენ ზოგადევროპული, ზოგადსაკაცობრიო, ზოგადქართული ფასეულობების მატარებლები ვართ.

ევროპას უნდა დავანახოთ, რომ ჩვენ მისი ნაწილი და, ამავდროულად, მისგან განსხვავებული ვართ. განსხვავება განშტოებაშია და არა ფასეულობებში. რა იგულისხმება განშტოებაში? — ის, რომ ჩვენ, ამავდროულად, დასავლეთის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი ვართ. ევროპისთვის ჩვენი ფასი, როგორც ნაწილის, მარტო ამაში კი არა, არამედ აღმოსავლეთთან ჩვენს კავშირში მდგომარეობს. ანუ, საქართველოს მეშვეობით ევროპა აღმოსავლეთს და ყოველგვარ აღმოსავლურს უკავშირდება.

— როგორ ჯდება ამ კონტექსტში ის, რომ აღმოსავლეთი ისლამური ცივილიზაციის აკვანია?

— ღმერთი არის ერთი. ყველაზე მეტი, რაც დედამიწაზე შექმნილა, რელიგიური ლიტერატურაა. მათგან ყველაზე ფასეული ბიბლიაა, რაშიც ნათლად არის საუბარი სამოთხეზე. და სად არის სამოთხე? — აღმოსავლეთში, რაც ბიბლიაში წერია. პირველი როგორ ვიწერთ? — სახით აღმოსავლეთისკენ. ეკლესია-მონასტრებს ისე ვაგებთ, რომ სარკმელი აღმოსავლეთისკენ იყოს. სიცოცხლის წყარო — მზე საიდან ამოდის? — აღმოსავლეთიდან. ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ორ მესამედზე მეტი და სამი მეოთხედი აღმოსავლეთშია. განა შეიძლება, დასავლეთისთვის აღმოსავლეთი ინტერესის სფერო არ იყოს? ამ უზარმაზარ სარგებელს ზურგი როგორ უნდა აქციო?! ამასთან, ევროპას უნდა დავანახოთ, რომ გეოგრაფიულ ევროპაში, კულტურული ევროპის გადარჩენის გზაზე, საქართველოს უზარმაზარი რესურსი აქვს.

— გამოდის, ჩვენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი ხიდი ვართ?

— დიახ, ეს ჩვენი და ჩვენგან გამომდინარე, ჩვენი რეგიონის ბუნებრივი მდგომარეობაა. დასავლეთს აღმოსავლეთზე წვდომა აქვს არა, როგორც ამას უწოდებენ, დერეფნის, არამედ ხიდის მეშვეობით. საქართველო ხიდია. რა განსხვავებაა ხიდსა და დერეფანს შორის? ხიდი საკუთარ თავში დერეფანს და არამხოლოდ მას ითვალისწინებს. ეს არის ისტორიების, კულტურების, რელიგიების, ცივილზაციების კავშირი. საქართველო მხოლოდ დერეფნის ფუნქციიდან რომ გამოვიდეს, მაშინ გეოპოლიტიკის ღერძი კი არ იქნება, არამედ დანამატად იქცევა. დღეს ჩვენი მდგომარეობა არასახარბიელოა, მაგრამ მიზეზი გარეთ — ევროპაში, ამერიკაში, რუსეთში კი არა, საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ.

— რუსეთი ახსენეთ. მასთან ურთიერთობა როგორ უნდა დავალაგოთ?

— საქართველოს ტერიტორიის ნაწილი რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულია, რაც ამ ორ ქვეყანას შორის არაჯანსაღი ურთიერთობის შედეგია და არა მიზეზი. იმას როდი ვამბობ, თითქოს შედეგის მიზეზი ჩვენ ვართ. ეს სხვა თემაა. ნებისმიერ მოვლენას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო ყველა სისტემიდან ცალკე, ამოვარდნილი დარჩა — არცერთის ნაწილი აღარ იყო. და რა მოხდა? — პირველი, რაც მაშინდელმა ხელისუფალმა გააკეთა, საქართველოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. მეორე, საქართველო წარმოდგენილია, როგორც დერეფანი და მესამე, ისმის მოწოდებები, ამ ქვეყნის მიმზიდველობა გავაჩინოთო. მიმზიდველობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს ჩვენს ერთიანობას, სუვერენიტეტს ვერ უზრუნველყოფს. საქართველომ პარტნიორებს თავისი საჭიროება, აუცილებლობა და არა მხოლოდ მიმზიდველობა უნდა დაანახოს.

ჩვენი ქვეყნის ბედს ორი ფაქტორი — დრო და სივრცე, ანუ გეოპოლიტიკა განსაზღვრავს. სამწუხაროდ, ვერცერთმა ხელისუფალმა დროისა და სივრცის ერთმანეთთან თავსებადობა ვერ მოახდინა. ასევე, ვერ გაიგო, ვის რა ინტერესი აქვს ამ ქვეყანაში, რით არის ეს განპირობებული, რამდენად მუდმივია და რამდენად თავსებადია ერთმანეთთან და მოვა თუ არა მათი თავსებადობა ქართულ სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობაში. მან ვერ გაიაზრა, რით არის ეს ინტერესი განპირობებული. სახელმწიფოს გადარჩენის პრინციპიდან გამომდინარე, თუ გვინდა, ჩვენი პოლიტიკა რეალური პოლიტიკისგან გაქცევას არ დაემსგავსოს, უნდა გვესმოდეს, რომ პოლიტიკის მთავარი რეგულატორი დამატებითი ინტერესია.

დიდი ქვეყნები ჩვენთან ურთიერთობას სტრატეგიულ პარტნიორობას ეძახიან და ჩვენ ეს მართალი გვგონია. ბატონობას, პატრონობას, მფარველობას სტრატეგიულ პარტნიორობას ვეძახით, რამაც არ უნდა გაგვათამამოს და თავი მსოფლიო პოლიტიკის მოთამაშეებად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ამ დროს ჩვენ თამაშის წესებიც კი არ ვიცით და სხვის მოედანზე შესვლით გვინდა, მოთამაშე გავხდეთ. ელემენტარულს ვერ ვხვდებით, რომ ჩვენ სხვის მოედანზე არავინ შეგვიშვებს. ჩვენ საკუთარი მოედანი გვაქვს. უფრო სწორად, ჩვენი სივრცე გვაქვს, რომელიც მოედნად ვერ ვაქციეთ. ამაში იცით, რას ვგულისხმობ? — როცა საქართველოს მიმართ ინტერესზე ვსაუბრობ, რეალურად, ეს არის რეგი-

9 გვ.

უკან დახევა ღალატის ტოლფასია!

გვესაუბრება პუბლიცისტი, გამომცემელი და ტელეწამყვანი ზაურ ნაჭყებია.

- ბატონო ზაურ, უცნაური რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. 30 წლის შემდეგ კვლავ ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა გვიწევს... ახლა, როგორც არასდროს, ჩვენი დასავლელი პარტნიორები გვამუნათებენ, გვასანქციირებენ და დაუფარავად გვეუბნებიან, რომ, რაც მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებისთვის მისაღებია, საქართველოსთვის, თურმე, „დანაშაულია“... რას გვერჩიან?!

- საქართველო სამყაროს ნაწილია და, რაც მსოფლიოში ხდება, პირდაპირ აისახება ჩვენს ქვეყანაზეც! მოგეხსენებათ, დღეს მსოფლიო დენთის კასრზე ზის და ამის ცოცხალი მაგალითები გვაქვს ახლო აღმოსავლეთში, კონკრეტულად, ღაზას სექტორში, ვხედავთ, რა ხდება უკრაინაშიც. მზადდება ახალი საომარი მოქმედებები ტაივანში, ასევე, შესაძლებელია, ისრაელმა დარტყას ლიბანს... სამწუხაროდ, დღეს სამყაროს „ცხელი თავები“ მართავენ, რაც ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო სახელმწიფოებს, ფაქტობრივად, ლიდერი არ ჰყავს. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რაც დღეს სამყაროში ხდება, რომლის ნაწილიც საქართველოა. „ცხელი თავების“ გაგრილება როგორ მოხერხდება, არ ვიცი, მაგრამ ბირთვულ კატასტროფასთან და გლობალურ მსოფლიო ომთან ახლოს რომ ვართ, ამას დიდი პროგნოზირება არ სჭირდება!

დაბეჯითებით გეტყვით: ძალიან კარგი პასუხი გასცა აშშ-ს პოლიტიკურმა პარტიამ - „ხალხის ძალამ“. მოხიბლული და გაოცებულიც კი ვარ მათი ასეთი თამამი განცხადებით, რადგან 30 წლის განმავლობაში, რაც ღიად ვაცხდებდით, რომ დასავლურ კურსს დავადექით და სუვერენიტეტისთვის ბრძოლა დავიწყეთ, ასე პრინციპულად დასავლეთს ჯერ არავინ დალაპარაკებია. იმაზე საუბარი, თუ რა შეცდომები დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“ 12 წლის განმავლობაში, შორს წაგვიყვანს, - იყო სერიოზული შეცდომებიც, თუმცა, მთავარია, ქვეყნის სუვერენიტეტის ის კურსი, რაც მმართველმა გუნდმა აიღო, ბოლომდე მივიყვანოთ. ეს კი საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხერხდება!

არსებობს რეალური საშიშროება, რომ მოქმედი ხელისუფლება შემოდგომაზე ამოაყირავონ. ევრო-ამერიკამ, ფაქტობრივად, წინასწარ განაცხადა, რომ არჩევნები „გაყალბდება“, ისინი კი ყველაფერს გააკეთებენ საპროტესტო მუხტის გასაძლიერებლად და ხელისუფლების ძალადობრივად შესაცვლელად, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნება! მიუხედავად პოლიტიკური გემოვნებისა, ჩვენ, საზოგადოება, ვალდებული ვართ, ვიაზროვნოთ სახელმწიფოებრივად და ყველაფერი გავაკეთოთ ხელისუფლების გადატრიალების თავიდან ასაცილებლად. რამეთუ გვაქვს ამის მწარე გამოცდილება - 2003 წელს, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ფაქტობრივად, 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმი მივიღეთ! არ არის გამორიცხული, იგივე რეალობის წინაშე აღმოვჩნდეთ, რადგან, თუ, დავუშვათ, დასავლეთმა საქართველოს ხელისუფლების გადატრიალება მოახერხა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვეყანა ჯურღმულის გზას დაადგება, რადგან ჩვენ ვიცით, ვის მოიაზრებენ ისინი მომავალ ხელისუფლებაში და ისიც ვიცით, რა დღეში ჩავარდება ქვეყანა. ვგულისხმობ საქართველოს ჩართვას რუსეთთან ხელახალ კონფლიქტში, რაც გამანადგურებელი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. ეს უნდა გავითვალისწინოთ! 2003-სა და 2024 წელს შორის ტოლობის ნიშანი არ უნდა დავსვათ, რადგან 2003 წელს რუსეთი ჯერ კიდევ ამერიკის ვასალი იყო. სინამდვილეში, რევოლუცია მოაწყვეს ამერიკელებმა და მერე რუსეთმაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. დღეს ასე აღარ იქნება, რადგან, რა შეცდომაც რუსეთმა დაუშვა 2014 წელს უკრაინაში, ხელისუფლების გადატრიალებით, ამას აღარ გააკეთებს ათი წლის შემდეგ საქართველოში - მან უკვე კარგად იცის, მსგავსი შეცდომა რასაც მოუტანს.

- არჩევნები ახლოვდება და ეჭვგარეშეა, რომ დესტრუქციული ძალები თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, ნებისმიერ შანსს გამოიყენებენ. ასეთ დროს რა მოეთხოვება ხელისუფლებას?

- ირგვლივ ძალიან ბევრი მოღალატე, ფულით მოსყიდული ბევრი ადამიანი გვყავს, „მეხუთე კოლონა“ დღემდე თავის ბინძურ საქმეს აკეთებს და თუ საშუალებას მივცემთ, მეტსაც გააკეთებს. ერთი სიტყვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძალიან „ცხელი შემოდგომა“ გველოდება. რადიკალების ერთადერთი მიზანია, მოიშორონ ხელისუფლება, რომელიც, ფაქტობრივად, ეურჩება დასავლეთს, განსაკუთრებით, ამერიკას. ამის ცოცხალი მაგალითია ზუსტად „ხალხის ძალის“ მკაფიო განცხადება და მიმართვა ამერიკის ელჩისადმი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ პარტნიორი თავის პარტნიორს, ასეთი ენით არ უნდა ელაპარაკებოდეს. გამოდის, რომ ამერიკა ჩვენთვის არა სტრატეგიული პარტნიორი, არამედ, მტერია, რომელიც ყველანაირად ცდილობს, საქართველოს სუვერენიტეტი ნულამდე დაიყვანოს! რა თქმა უნდა, ამას ქვეყანა ვერ შეურიგდება. მადლობა დღევანდელ ხელისუფლებას, რომ, როგორც იქნა, სუვერენიტეტის გზას დაადგა. „ხალხის ძალის“ ამერიკის ელჩისადმი ბოლო გზავნილი კი იმის მკაფიო მინიშნებაა, რომ ქვეყნის სუვერენიტეტს მხარს უჭერს ქართველი საზოგადოება. ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოვიდეთ იმ ილუზიებიდან, რომ ამერიკა აგვიშენებს ქვეყანას, ან თუნდაც, ევროპა აგვიშენებს ქვეყანას - ქვეყანა უნდა ააშენოს ქართველმა ერმა!

დიახ, ყველა რესურსი უნდა გამოვძებნოთ იმისათვის, რომ ქვეყანაში შემოვიდეს ინვესტიციები და გვყავდეს მყარი დასაყრდენი ახალი პარტნიორების სახით.

მადლობა ღმერთს, უკვე ჩინეთი გამოჩნდა და ანაკლიის პორტის ასაშენებლადაც პირველი ნაბიჯები იდგმება. არადა, ეს ის ანაკლიის პორტია, რომლის მშენებლობასაც ამერიკელები გვიკრძალავენ! კარგად ვიცით, რომ ქართულმა მხარემ არაერთხელ შესთავაზა აშშ-ს, მონაწილეობა მიეღო პორტის მშენებლობაში, მაგრამ მათგან დადებით პასუხს ვერ ველირსეთ.

ლოგიკურად ისმება კითხვა: რატომ არ უნდა აშენდეს საქართველოში ანაკლიის პორტი? რატომ არ უნდა ჰქონდეს ქვეყანას თავისი ეკონომიკური გზა არჩეული დამოუკიდებლად? რა შეცდომები დავუშვით, რამაც აქამდე მიგვიყვანა? ამაზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ - უნდა გამოვფხიზლდეთ და ახალი ფურცლიდან დავიწყოთ საქართველოს მშენებლობა. მართალია, გზად ძალიან სერიოზული პრობლემები გადაგვეღობება. წინასწარ

გაცხადდა, რომ სტრატეგიული პარტნიორი ურჩობას არ გვაპატიებს, მაგრამ, რადგან საქართველო, როგორც იქნა, სუვერენიტეტის გზას დაადგა, უკან დახევა ისევ ჩვენ წინააღმდეგ იმუშავებს.

- ბატონო ზაურ, ოდიოზური დავით საყვარელიძე „ქართველი ზელენსკის“ მოლოდინშია, რის შესახებაც მან უკრაინულ ტელეარხთან საუბარში განაცხადა. თუმცა, ყოფილი მაღალჩინოსანი არ აკონკრეტებს, ვინ იქნება ომში მყოფი ქვეყნის ქართული ვერსია...

- რატომ უნდა გვიკვირდეს საყვარელიძისგან ასეთი განცხადება?! ჩვენ ვიცით, რა დამოკიდებულებაც აქვს ამ ადამიანებთან უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც, ფაქტობრივად, უკრაინის დამსაფლავებელი აღმოჩნდა. ისინი გაღიზიანებული არიან იმით, რომ საქართველომ არ დაუწესა სანქციები რუსეთს და არ ჩაერთო რუსეთთან ხელახალ კონფლიქტში, რასაც ყველანაირად ცდილობდნენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ყველა გზას მოძებნიან იმისათვის, რომ არიონ სიტუაცია საქართველოში, დათესონ შიში... ჩვენ კი არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ მედგრად დავდგეთ. ყველაზე მეტად რაც საქართველოს ახლა სჭირდება, ეს არის ერთობა. ჩვენმა საამაყო ისტორიამ გვასწავლა, რომ, თუ ქართველები ერთად იქნებიან, მათ ვერავინ მოერევა! რა თქმა უნდა, არც ხელისუფლებას უნდა ეძინოს ყურთბალიშზე და როგორც იტყვიან, ასი თვალი და ყური უნდა გამოიბას საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა...

- „ქართველ ზელენსკის“ როდის გამოაჩენენ, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, ოპოზიცია კვლავაც ლიდერის ძიებაშია. ქალბატონი პრეზიდენტი ხომ არ მოიაზრება მათ ლიდერად, თავისი „ქართული ქარტიით“?

- ამ ქალბატონმა, როგორც ქართველმა და როგორც პოლიტიკოსმა, თავისი ანტიქართული განცხადებებით და ქმედებებით თავი დაისამარა! ფაქტობრივად, ყველა გზა მოიჭრა და არ მგონია, ქართულ საზოგადოებას მის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება ჰქონდეს. დიახ, არ შეიძლება, სალომე ზურაბიშვილი დღეს იყოს ლიდერი, თუნდაც ოპოზიციის, იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, რაშიც მან პრეზიდენტობის ოთხი წლის განმავლობაში თავი ჩაიყენა. ვფიქრობ, მისი „ქართული ქარტია“ მკვდრად შობილი გაერთიანებაა, რომელსაც არანაირი პერსპექტივა არა აქვს.

როგორც შევიტყვეთ, უკვე გაერთიანდნენ „პარტიორტები“ და „ალტინფო-კონსერვატორები.“ „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარის, დავით თარხანმოურავის განცხადებით, კიდევ 14 პარტიაა რიგში ამ ალიანსში გასაწევრიანებლად. თუმცა, გულახდილად უნდა ითქვას, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ ბაზაზე დიდი ეროვნული ერთობა ნამდვილად ვერ შეიქმნება და ის ვერც ხელისუფლების და ვერც კრიმინალური ოპოზიციის საპირწონედ ვერ იქცევა. გული მწყდება, რომ არჩევნების დასრულების შემდეგ შეგვრჩება ისევ „ქართული ოცნება“, ჯანსაღი ოპოზიციის გარეშე.

ნონა ქარქაშაძე

7 ბ3.

ონისადმი ინტერესი. თუმცა, არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველო ამ რეგიონის გასაღებია. გზა რეგიონზე, საქართველოზე გადის.

საქართველომ, თავისი ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კარგად უნდა გააანალიზოს, რაში მდგომარეობს მისი მისია და განსაზღვროს მიზანი. ხოლო მიზნის არსებობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას აზრს აძლევს. თავი დავანებოთ რადიკალიზმს, ეგოიზმს, ცინიზმს, ისტერიას, შურს, უმადურობას, აბსოლუტიზმს, სრულ პოლიტიზებას და პოლიტიკური პრაგმატიზმიდან გამომდინარე რეალიზმზე დაფუძნებული პოლიტიკა ვაწარმოოთ. მისიის რეალიზაციისთვის აუცილებელი წინაპირობა საერთაშორისო ფუნქციის შეძენაა. ნებისმიერი ქვეყნის სიძლიერე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მის ჩართულობაზეა დამოკიდებული. ჩვენ არ გვესმის, ამ გლობალიზაციის პირობებში, ჩვენი ქვეყნის ხსნა რაში მდგომარეობს. შეიძლება, თავს კომფორტულად ვგრძნობთ და გვირჩევნია, ასიმილაციასაც ინტეგრაცია დავარქვათ. საქართველოს პირდაპირ საერთაშორისო ფუნქცია არ ექნება, მაგრამ რეალური საერთაშორისო ფუნქცია, როგორც მოგახსენეთ, რეგიონზე გადის. დიახ, საქართველომ რეგიონული ფუნქცია უნდა შეიძინოს, რაც ავტომატურად საერთაშორისო ფუნქციად იქცევა.

ისმის შეკითხვა: საქართველოს ვინ მისცა იმის ფუფუნება, რომ რომელიმე მიმართულებით გადაიხაროს?! როგორც კი ერთი მიმართულებით გადაიხრება, მეორესთან წინააღმდეგობაში მოვა. გავიაზროთ, რა არის ქვეყნის მთავარი მიზანი. მიზანი და საშუალება ორი სხვადასხვა ცნებაა, რაც არ გვესმის. ჩვენი მიზანი ქვეყნის ერთიანობის, მთლიანობის, უსაფრთხო მომავლის უზრუნველყოფაა. გარანტირებული უსაფრთხო მომავალი, საკუთარ თავში ერთიანობის გარდა, სუვერენიტეტსაც გულისხმობს. მაშინ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ასევე, ჩვენი სუვერენიტეტის, თავისუფლების უზრუნველყოფა დასავლეთის ინტერესების გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელია. ჩვენი მიზანი მხოლოდ ერთიანობა არ არის, რომელიც დღეს დარღვეულია. რად გვინდა ისეთი ერთიანი სივრცე, რომელიც რუსეთის დომინირების ქვეშ მოექცევა. ან რად გვინდა, თავისუფლების, სუვერენიტეტის მოპოვების ისეთი გზით სიარული, რომელიც ჩვენს ერთიანობას არ აღადგენს და პირიქით, სხვა ქართულ სივრცეებს დაგვაკარგვინებს. იძულებული ვართ, ასე ვიფიქროთ. ვინც შორეულ სირთულეებზე არ ფიქრობს, აუცილებლად უნდა ელოდოს უახლოეს პრობლემებს. მაშ, როგორ მოვახდინოთ დასავლეთის და რუსეთის ინტერესების საქართველოს სივრცეში თავსებადობა?! ანუ, როგორ შევიძინოთ საერთაშორისო ფუნქცია მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის ერთიანობა და სუვერენიტეტი დედამიწის ზურგზე, საქართველოს გარდა, არავის ინტერესში არ შედის?! ამას როგორ შევძლებთ, როცა გავიძახით, ისტორიული სამართლიანობა უნდა აღვადგინოთო. რეალურად, დღეს ისტორიული სამართლიანობა არ არსებობს. ასეთი ცნება — საერთაშორისო სამართალი მხოლოდ სახელმძღვანელოებში არსებობს. ცხოვრებაში მისი რეალიზაცია არ მომხდარა, მით უმეტეს, ახლა.

დღეს სამყარო მულტივექტორული, წინააღმდეგობებით აღსავსე, ცვალებადია. ახლო პერსპექტივაში მისი უკეთესი მომავალი არ იკვეთება. დღევანდელი მსოფლიო პროგნოზირებადი არ არის — რეალურად, იდეოლოგიის პოლიტიზება ხდება. სამყარო სამომხმარებლო ბაზრად იქცა, რასაც ერთადერთი ფაქტორი — ინტერესი მართავს. აი, რას უნდა მოერგოს საქართველო. ჩვენს ქვეყანას შეუძლია, ამ ძალებისთვის დამატებითი ინტერესი გააჩინოს ისე, რომ მათ საქართველოს საჭიროება, აუცილებლობა დაანახოს. ანუ, ლეგიტიმური, შეუქცევადი პროცესი შექმნას. სარგებლის მიღებაში მისი აუცილებლობა დღევანდელ დღეზე მორგებულიც უნდა იყოს, თან ეს პოლიტიკური თამაშის წესების დაცვით გაკეთდეს. ვამბობთ, მოცემულობა შევცვალოთო. არსებული მოცემულობა გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილი პროგრესის, ანუ პროცესის მიმდინარეობის ცვლილების შესაძლებლობას არ იძლევა.

— თქვენ საქართველოს რეგიონის კონტექსტში განიხილავთ?

— დიახ. საქართველო ჩაკეტილი სივრცე არ არის. ის ისტორიულად, კულტურულად, რელიგიურად იმ ერთიანი, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური, სოციო-კულტურული სივრცის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ერთიანი სამხრეთკავკასიური და კავკასიური სივრცე ჰქვია. მაშინ რატომ ვცდილობთ ფორმალური ინტერნაციონალური გზით ამ სივრციდან ამოვარდნას? როგორც ილია ბრძანებს: ხომ არ ემსგავსება ეს სახლიდან გასულ საქონელს, რომელმაც უკან დასაბრუნებელი გზა ვეღარ იპოვა, ან აკაკის „ღამურას“?

საქართველოს ცალკე აღებულს არავინ განიხილავს. ჩვენ რატომ განვიხილავთ საკუთარ თავს ცალკე, რეგიონის კონტექსტიდან ამოვარდნილად?! მით უფრო მაშინ, როცა დღეს რეგიონალიზაციისკენ თვითონ გლობალიზაცია გვაიძულებს. რატომ არ გვინდა, დროს მოვერგოთ და ჩვენი სივრცის მნიშვნელობა გავიგოთ. ჩვენ ამ სივრცის პატრონი არ ვართ და მოედანიც ვერ შევქმენით, ვერც შევქმნით. მაგრამ ხომ შეგვიძლია, მათ ის ერთიანი სივრცე ვაჩვენოთ, სადაც რეალური ინტეგრაცია მოხდება და რეგიონის შემადგენელი ქვეყნები — აზერბაიჯანი და სომხეთი, საქართველოს ბედის თანაზიარი გახდებიან. მათივე შეზღუდული რესურსების საერთო მიზნით გაერთიანება და მსოფლიო დომინანტი ძალების ინტერესების სივრცეში თავსებადობა ამ სივრცეს სამშვიდობო — ახალ გეოპოლიტიკურ სივრცედ — მოედნად გარდაქმნის და საქართველოს ძირითად მოთამაშედ აქცევს. ეს საერთო ინტერესების თანხვედრით საერთო სარგებლის მიღებას — ფორმა-ბალანსის დაცვით საერთო ინტერესს მოემსახურება. სად არის ასეთი სივრცე? კავკასიაა ერთიანი სივრცე? — არა. კავკასია ერთიანი რეგიონია, მაგრამ ის ორი გეოპოლიტიკური სივრცისგან შედგება. ქართული სახელმწიფოს, როგორც გლობალური ფუნქციის მატარებელი ერის სამოქმედო არეალი მხოლოდ სამხრეთ კავკასიაა, რომელიც განგებამ კავკასიონის ქედით ორ ნაწილად გაყო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დღეს რეგიონში და, ზოგადად, სამყაროში არსებული დაპირისპირება საქართველოს მისიის რეალიზაციისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია, ძალიან ცდება. ეს ხელისშემშლელი კი არა, ხელისშემწყობი ფაქტორია. საქართველოს (არც რეგიონს) არ შეუძლია დამოუკიდებლად ერთი მიმართულებით, ერთი ცივილიზაციისკენ, ერთი საგარეო ორიენტირისკენ სვლა. ასეთ შემთხვევაში ის იმ კონკრეტული ქვეყნის ნაწილი გახდება, საითაც ნაბიჯს გადადგამს. ამ ქვეყნებისთვის ორი კატეგორია არსებობს — ვასალი და მტერი. ვასალი როცა ხარ, მონურ მდგომარეობაში იმყოფები. მეორეა, მტერი. მას წინააღმდეგობას გავუწევთ? — ვერა, რადგან მაშინვე გავნადგურდებით. კიდევ იცით, რა უბედურება გეჭირს? — ჩავთვალოთ, ვისი ვასალიც ვართ, მისი მტერი ჩვენი მტერიც იქნება. თავად ვისი ვასალიც ხარ, მისი მიზანიც ეს არის — მის მტერს დაგაპირისპიროს. მაშ გამოსავალი რაშია? სახელმწიფო პოლიტიკა რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში გადავიტანოთ და მათ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის — ახალი სამშვიდობო სივრცის მნიშვნელობა დავანახოთ. ანუ, რითიც დავიწყეთ — ბუნებასთან ჰარმონიაში მოვიდეთ. ჩვენი ადგილიც ისტორიულად ყოველთვის ეს იყო — ჩვენ ამ ერთიანი სივრცის შემკვრელი, მედროშე ვართ. ჩავთვალოთ, რომ ეს წამალია. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ავად ვართ. დავსვათ დიაგნოზი და განკურნების საშუალება ვეძებოთ. შეიძლება ჩვენი განკურნება მწარე წამალს შეუძლია. ადამიანი განკურნების საშუალებას — წამალს რომ აღმოაჩენს, თუ ავადმყოფის განკურნება უნდა, იმის გამო ხომ ვერ დაუმალავს მედიკამენტს, რომ მწარეა?! მოდი, სანამ ჯერ კიდევ არის საშუალება, სახელმწიფო მედიკამენტოზური მეთოდით განვკურნოთ, ვიდრე ქირურგიული ჩარევა დასჭირვებია და საოპერაციო მაგიდაზე დაუწვენიათ, თორემ იქიდან როგორ ადგება, არავინ იცის.

— სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო სივრცით ფორმირების საჭიროება დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ საგარეო ორიენტირის თემას რა ვუყოთ?

— საგარეო ორიენტირს ქვეყანა ვერ განსაზღვრავს, მისი სურვილი საკმარისი არ არის. ორიენტირს ისტორიული აუცილებლობა განაპირობებს. მოდი, საერთო მიზნიდან გამოვიდეთ. ეს არის ჩვენი ქვეყნის ერთიანობა, მთლიანობა, გარანტირებული უსაფრთხო მომავლის უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა, სუვერენიტეტის დაცვის გათვალისწინებით. რეგიონის სამ ქვეყანას — საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს ერთი მიზანი გვაქვს. მიზნის რეალიზაცია საერთო შეთანხმების ხარჯზე, საერთო ქოლგის ქვეშ მოხდება. რა თქმა უნდა, ეს პროექტი თავიდან ბოლომდე ევროოპტიმიზმით არის გაჯერებული, რაც ჩვენს საგარეო ორიენტირზე არანაირ გავლენას არ იქონიებს. ოღონდ, ეს რა ქოლგა იქნება, სამხედრო ბლოკი თუ საერთოდ, ბლოკს მიღმა, ჩვენი კი არა, მსოფლიო დომინანტი ძალების გადასაწყვეტია, უპირველესად, ამერიკის, ევროპის, რუსეთის, ჩინეთის, რომ აღარაფერი ვთქვათ რეგიონულ ლიდერ სახელმწიფოებზე. მათ კონსესუსის საფუძველზე საერთო შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა მივცეთ, რათა დღემდე არარსებული რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ფორმირებით, რეგიონი ერთი ქოლგის ქვეშ აღმოჩნდეს და რეგიონული უსაფრთხოების სისტემა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის შემადგენელ, განუყოფელ ნაწილად იქცეს. მთავარია, ჩვენი მიზნის რეალიზაცია მოხდეს.

— ეს მიდგომა რამდენად რეალისტურად გეჩვენებათ?

— აბსოლუტურად შესაძლებლად მიმაჩნია. არ შეიძლება ეს ერთიანი სივრცე, რომელიმე ერთი ქვეყნის დომინირების ქვეშ აღმოჩნდეს, რაც ბუნებრივად აჩენს რეგიონით დაინტერესებული ძალების შეთანხმების აუცილებლობას მათივე ინტერესებიდან გამომდინარე და დღემდე მოქმედი მიდგომა (რომაული) — დაყავი და იბატონე შეიცვლება — გააერთიანე და მეტი სარგებელი მიიღეთი. აქვე საინტერესოა მოსაზრება, რომელიც ჩვენს ზოგადსაკაცობრიო ხედვასთან წინააღმდეგობაში არ მოდის: ვინცა დაყოს, იგი არს სატანა, ვინცა გააერთიანოს, იგი არს ღმერთი.

— საქართველოს, გეოპოლიტიკურის გარდა, სხვა მისიაც აქვს?

— რა თქმა უნდა, აქვს. ეს კონცეპტი აჩენს რეალურ შესაძლებლობას, საქართველომ, რომლის ძალა და ეფექტურობა სივრცის გაფართოებაში და სამოქმედო არეალის გაზრდაში მდგომარეობს, აღასრულოს როგორც მსოფლიო პოლიტიკური ღერძის, ისე სულიერი მისია. ჩნდება კითხვა: ეს უნდა იყოს ქვეყნის მიზანი? — დიახ. გავიაზროთ, რომ მხოლოდ მიზნის არსებობა აძლევს ცხოვრებას აზრს. ქართველები უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა? — რა და – ჩვენი მისია აღვასრულოთ.



საქართველო დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ხიდია და არა - დერეფანი

თამარ შველიძე

ფრაუ ბერბოკმა ფაშიზმის იდეა გააცოცხლა

ანალენა ბერბოკი რა ცეტიც იყო ახალგზრდობაში, იგივე დარჩა მოწიფულობაში, მაგრამ რაც ახლა თქვა, იმას მაინც არ ველოდი. „თუ ადრე სიმბოლო სვასტიკა ასოცირებული იყო ერთ-ერთი ევროპული სახელმწიფოს ნაცისტურ რეჟიმთან, დღეს მას ატარებენ საკუთარი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ადამიანები. შეიძლება ითქვას, რომ უკრაინამ შეძლო სვასტიკის რეაბილიტირება თავისუფალი სამყაროს წინაშე და მისი გადაქცევა თავისუფლებისა და თვითგადარჩენისთვის ბრძოლის სიმბოლოდ. დღეს ამ სიმბოლოების მიმართ უკვე აღარ

არის არანაირი ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზი, თუკი მისი მატარებლები რუსეთის აგრესიას ებრძვიან“, — განაცხადა მცოდნე სახით ამ უწიგნურმა ქალმა.

საინტერესოა, ზელენსკის პირადმა შემადგენლობამ რუსი ტყვეების ჭამა რომ დაიწყოს იდი ამინივით, რადგან მხოლოდ რუსებს შეჭამენ, კანიბალიზმის რეაბილიტირების აუცილებლობაზე/საჭიროებაზე ალაპარაკდება? ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელების შთამომავლებმა რომ ფაშისტური გერმანიის შთამომავალი გერმანელების ჭამა დაიწყონ, ამ შემთხვევაში როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ფრაუ ბერბოკი?

შეჭმაზე არანაკლები მხეცობა იყო, ცოცხლად რომ გამოწვეს პროფკავშირების ცეცხლმოკიდებულ შენობაში განსხვავებული აზრის მქონე თანამოძმეები, რომლებიც გაბმით რეკავდნენ სახანძრო სამსახურში და დახმარებას ითხოვდნენ, იქიდან კი სრული იგნორირება იყო. ეს არავის შეუცხადებია, — ასეთი სახე აქვს თანამედროვე ფაშიზმს...

კაცმა რომ თქვას, მას შემდეგ, რაც უკრაინის ხელისუფლებამ ფაშისტების ხელისბიჭი, ცივსისხლიანი მკვლელი სტეპან ბანდერა უკრაინის ეროვნულ გმირად შერაცხა, რაღა გასაკვირია, რომ ფაშისტური სვასტიკაც ბანდერას მადლის მატარებლად გამოაცხადოს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ამ ქალს, ნეტავ, კითხვა არ დაებადა, „აზოვსტალის“ მოხატული „დამცველების“ ტატუირებაში რატომ სჭარბობდა სვასტიკა და სატანისტური სიუჟეტები?

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, რიგითმა მოქალაქეებმა ვიცოდით, რომ უკრაინაში ცხოვრობდა ადამიანთა ჯგუფი, „ბანდერელები“, რომლებიც საბჭოთა კავშირს არ ცნობდნენ და ფარულად ფაშიზმის იდეის მიმდევრები იყვნენ. საქართველოშიც იყო ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ჯგუფები, მაგრამ მათი იატაკქვეშა მოძრაობები ფაშიზმის იდეას კი არ იზიარებდნენ, არამედ საბჭოთა წყობას უარყოფდდნენ და ამიტომ იყვნენ გერმანიის მხარეს. პირადად ვიცნობდი და ამის შესახებ ვესაუბრე კიდეც ქვემოალვანელ გოგალე ხოხიაიძეს, რომელმაც წლები გაატარა ციმბირის ციხეებში და ციმბირშივე იყო გადასახლებაში.

ამ საეჭვო რეპუტაციის ქალს, ალბათ, ჭორადაც არ გაუგონია, რომ უკრაინელმა ბანდერამ 1941 წელს, უკრაინის ნაციონალური ორგანიზაციის „ალტერნატიულ ლიდერ“ ანდრეი მელნიკთან ერთად, ფაშისტური გერმანიისგან 2,5 მლნ მარკა მიიღო და ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ჩამოყალიბებული პრინციპების ცხოვრებაში განხორციელება დაიწყო — ვგულისხმობ პოლონელების, ებრაელებისა და რუსების განადგურებასა და საკონცენტრაციო ბანაკების შექმნას „არალოიალური ელემენტებისთვის.“ იმ ბანდერაზეა საუბარი, რომელსაც თვით უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრები უწოდებდნენ „სამ „ჟ“-ს: ჟადნი, ჟალკი, ჟესტოკი.

1941 წლის ზაფხულში დასავლეთ უკრაინას ბანდერას მიერ მოწყობილმა მკვლელობებისა და დარბევების ტალღამ გადაუარა. კულმინაცია იყო 1943 წელი, როდესაც უკრაინელმა ნაცისტებმა 150 სოფლის მოსახლეობიდან 35 000 პოლონელი დახოცეს — ანჟეი დუდა, კაი გამარჯობა, შენი!

ამას რა უჭირს, უკრაინის ნაციონალისტური არმიის ჯარისკაცებმა არმიის შექმნის ერთი წლის აღსანიშნავად თავიანთი „გენერლის“, სტეპან ბანდერას იდეურ ძმას, რომან შუხევიჩს 5 პოლონელის მოკვეთილი თავები მიართვეს...— ჰო, მე ვიგონებ, რაღაცას ვფანტაზიორობ, უკრაინელები მძულს ან რამე ასეთი, ბოლო-ბოლო, იაროსლავ გალანის სული ჩასახლდა ჩემში... ბაბი იარის მაინც, რომელიც აღწერს საქმის ვითარებას და აღნიშნავს, რომ 1500 ჯალათიდან მხოლოდ 300 იყო გერმანელი, დანარჩენები უკრაინელები იყვნენ. კიდევ რეებს წერენ აღნიშნული პირები (ყოველგვარი კგბ-ის გარეშე), ამ შემთხვევაში გვერდზე გადავდოთ. სულ ცოტას დავამატებ, „აბვერის“ დაზვერვის პოლკოვნიკ ერვინ შტოლცეს თქმით, როდესაც ბანდერას შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ის, რეალურად, ბერლინში „გულაობდა“. 1944 წელს გაათავისუფლეს ბანდერა მის 300 თანამოაზრესთან ერთად და „საქმე“ დაავალეს. ბანდერამ „საქმე“ გააკეთა, რაზმები შექმნა, მაგრამ როგორც ასეთ ჭკვიან აღმასრულებლებს სჩვევიათ, თვითონ აორთქლდა... (დოკუმენტების კრებული „მიწა ბრალს სდებს!“) მოკლედ, ტიპმა უღალატა თავისიანებსაც, სხვისიანებსაც და სადღაც, მაგრამ დედამიწაზე დააპირა გაჯეჯილება.

სხვათა შორის, წლების წინათ ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა დოკუმენტები იმის შესახებ, როგორ ამზადებდა ფაშისტური გერმანიის სპეცსამსახურის დავალებით „უკრაინის №1 გმირი“ აშშ-ის პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტის მკვლელობას — უსაზღვროა ჩემი ფანტაზია.

იმასაც მე ვფანტაზიორობ, რაც რეალურ სურათად ხატია, რომ სვასტიკიანი უკრაინელები ვერ იტანენ ბორჟღალიან საქართველოს?!

„ლოს“, „სტეპანკო“, „ძალიი“, „სერიი“, „რიხ“, „მატვეი გორდონი“ — მავანთა ეროვნული გმირი, ბოლოსდაბოლოს, „კაგებეშნიკმა“ ბოგდან სტაშინსკიმ მოკლა.

ამ პინგვინმა ანალენა ბერბოკმა რაც კარგად იცის, ეგ რომ გავაზიარე, სოცქსელმა დამტუქსა, შემიზღუდა აქტივობა, მაგრამ ამით რა, მისი განვლილი ცხოვრების ნირი წაიშალა? „ბანდერელობა“ იდეოლოგიაა და არა ბრმა თაყვანისცემა...

ასე რომ, ჩემთვის უკრაინელი ფაშისტების „გამპრავებელი“ ანალენა ბერბოკი იგივე ფაშისტია, მერე რა, თუ ევროპელი „დემოკრატისტის“ ვიღაცებმა მანტია მოასხეს, ისინიც იგივენი არიან...

გაფიცებთ ფაშისტურ სვასტიკას, რომელიც მხოლოდ მას გააზარებს, ვისი კოსმიური საკუთრებაცაა...

ფაშისტური იდეა არ მომკვდარა! რაც მეტი უკრაინელი აღარ იქნება, მით უკეთესია... ფაქტი სახეზეა!

გვერდს ვუვლი სათუთ თემებს, მაგრამ, ზოგადად, მართლისმთქმელი ვარ და ამის გამო არავის ვუყვარვარ ჩემი კატის გარდა, მაგრამ სათვალეს თუ მოიხსნით, არცთუ ურიგო ვინმედ დამინახავთ — ეს ნახევრადხუმრობით...

ხომ არსებობენ ჭკვიანი უკრაინელებიც — მათი იმედი მაქვს!

ცეტი ბერბოკი ასე ხელაღებით ვერ გაამართლებდა „უკრაინულ სვასტიკას“, მას რომ რაღაც წინაპირობა არ ჰქონოდა და აი, ისიც — ვიქტორ იუშჩენკომ ბანდერას უკრაინის ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა. ვიქტორ იანუკოვიჩმა კი გააუქმა წინამორბედის ბრძანება, მაგრამ ამას დაერთო „ბიბისის“ მიერ 2014 წლიდან ბანდერას ავკაცობების გამართლება — „ოთხი მითი სტეპან ბანდერაზე“ და მისი სახელი უკრაინაში დადგმულ საპროტესტო აქციებზეც გაისმა. „დოიჩე ველე“ სულაც „წინააღმდეგობრივ ფიგურად“ აცხადებდა მას სტატიაში „გმირი თუ ნაცისტების კოლაბორაციონისტი?“ — უკრაინის ეროვნულ გმირად აცხადებენ პირს, რომელიც, სხვა ერებს რომ თავი დავანებოთ, უკრაინელების სისხლშია თავ-ფეხიანად ამოთხვრილი.

ბანდერას სახელი მკაფიოდ და ამჯერად რუსეთის მხრიდან უკრაინაში შეჭრის შემდეგ გაისმა პირადად პუტინისგანაც, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინას „ნეონაცისტები“ და ბანდერას შთამომავლები მართავენ.

ადამიანი დაიბადა და გაიზარდა დასავლეთ უკრაინის ერთ-ერთ სოფელში, რომელიც პოლონეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ნაწილი იყო, სწავლობდა ლვოვში (ივანოვო-ფრანკოვსკი), სადაც უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციაში იყო გაწევრიანებული და სხვანაირად მოაზროვნე რანაირად იქნებოდა, რა ნამუსის მოწმენდა სჭირდება?

„ბიბისი“ ამტკიცებდა, ბანდერას საჯარო გამოსვლებით ჩანდა, რომ მას უკრაინის დამოუკიდებლობა უნდოდა, რაც არავის ინტერესში არ შედიოდა, გერმანიასთან ნებისმიერი თამანშრომლობა კი, შესაძლოა, მხოლოდ ტაქტიკური და დროებითი ყოფილიყო, ამ იდეის გამო მოუხდა უთანხმოება მელნიკთანო და დასძენს, მელნიკი უკრაინელთა ნაწილში პოპულარობით ვერ სარგებლობსო.

ორგანიზაცია ორ ფრთად გაიყო, რომელთაგან ბანდერას ფრთამ ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიაზე უკრაინული ლეგიონი შექმნა 800-კაციანი შემადგენლობით და გერმანულ ბატალიონებს „ნახტიგალსა“ და „როლანდს“ შეუერთდა თავისივე უკრაინის წინააღმდეგ, მაგრამ კრებსით ბერბოკებს

სვასტიკა – ყველა დროის კოსმიური იდუმალი ნიშანი

ამოუცნობი სვასტიკა ანტარქტიდაზე

არსის სრულფასოვნად გაგებისთვის ოდნავ შორიდან დავიწყებ.

კარტოგრაფიული აზროვნების მწვერვალს წარმოადგენს კლაუდიოს პტოლემეუსის (დაახლ. 90-168 წწ.) შრომები. მისი მთავარი გეოგრაფიული შრომაა „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ 8 წიგნად. ერთი მხრივ, პტოლემეუსი გეოგრაფიას ასტრონომიული თვალსაზრისით მიუდგა, მეორე მხრივ, ცდილობდა, მისთვის ცნობილი სამყარო დაეტანა რუკაზე. ნაშრომს ახლავს დედამიწის ზედაპირის 27 რუკა. ცხადია, კლაუდიოს პტოლემეუსის მიერ შედგენილ რუკაზე კარგად ჩანს კოლხეთი...

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ კოლხები მამაცი ზღვაოსნები, გემთმშენებლები და კარტოგრაფები იყვნენ. მათ კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა დაიწყეს ვეშაპზე ნადირობა და მისი ხორცისა თუ ქონის გამოყენება. კოლხების ხომალდები დიდი არ იყო, მაგრამ სწრაფმავალები იყო და თავისუფლად დაცურავდნენ ზღვებსა და ოკეანეებზე. კოლხები შესანიშნავად ფლობდნენ ასტრონომიას, იცოდნენ ციური სხეულების გადაადგილების ურთულესი კანონები და მათი საშუალებით კარგად იკვლევდნენ გზებს წყალზე.



ცნობილი გერმანელი გეოგრაფი კარლ რიხტერი (რიტერი) წერს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდება სრულებით არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს, ვინაიდან ბევრად უფრო დიდი ხნით ადრე ხმარებაში იყო კოლხ მოგზაურთა შორის.“

რაც შეეხება ანტარქტიდას — ბოლო დროის იმ კვლევებისას, რაც გაგვიმხილეს, აღმოაჩინეს წაგრძელებული თავისქალიანი 3 ჩონჩხი და ცხოველების გენეტიკური მასალები. ასევე, ბრიტანელებმა აღმოაჩინეს გრძელი, 100კმ-იანი გვირაბი ყინულის საფარველის ქვეშ („იუთუბიზეც“ გავრცელდა). გამოითქვა ვარაუდი, რომ ყინულქვეშ გვირაბების ქსელია გამოჭრილი. ეს აღმოჩენა სატელიტური ფოტოსესიისა და თვითმფრინავების რადარული სკანირების საშუალებით მოხდა. ექსპერტების აზრით, გვირაბის ტექნიკური პარამეტრები გამორიცხავს მათ ბუნებრიობას — მკვეთრად გამოჭრილი კონტურები მიანიშნებს მათ ხელოვნურ შექმნაზე, მაგრამ თავსატეხი ის არის, რომ მათი შესაქმნელი ტექნოლოგიები დედამიწას ჯერ არ აქვს...

იმ მოსაზრების შემოწმება, რომ ყველაზე გრძელი გვირაბი ყინულქვეშ არსებულ უძველეს მიტოვებულ ქალაქთან მიდის, შეუძლებელი აღმოჩნდა — ყოველ შემთხვევაში, ასე გაავრცელეს ინფორმაცია, თუმცა, იმდენი ექსპედიცია ჩატარდა და ისეთი ინფორმაციული ვაკუუმია, პირიქით, სხვაგვარ ეჭვებს ბადებს. ფაქტია, რომ ანტარქტიდაზე დროდადრო ყინულის ფენა იმდენად იკლებს სხვადასხვა ადგილზე, მიწის ზედა ფენაც კი ჩნდება. მართალია, შემდეგ ისევ ყინულით იფარება და სურათი რადიკალურად იცვლება, მაგრამ სატელიტიდან გადაღებულ რამდენიმე ფოტოზე უხარისხო, მაგრამ ერთგვარად საეჭვო კონტურები გამოჩნდა, თითქოს სვასტიკის (თუ ბორჯღალის?) მსგავსი დიდი ნაგებობისა და შენობების ნარჩენებისა.

ცნობილია, რომ ჰიტლერი მისტიკით იყო გატაცებული და იმდენად სჯეროდა მისტიკური ამბების, „ფაუ-2“-ის წარმოებაც კი შეაჩერა დროებით, რათა „მარადიული ყინულის სამეფოს“ განრისხება არ გამოეწვია. „ნაცისტების“ ერთ-ერთი საიდუმლო მიმართულება სწორედ ანტარქტიდის კვლევა-ათვისება იყო, რადგან მაგებით გარშემორტყმულ „უფროსობას“ სჯეროდა, რომ უძველეს არიელებს, ანუ უძველესი ცივილიზაციის კვალს ანტარქტიდაზე მიაგნებდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ანტარქტიდის გამიზნული კვლევებისთვის მსვლელობები ჯერ კიდევ 1935 წელს დაიწყეს. როდესაც აღდგომის კუნძულების ქანდაკებები (ამის შესახებ მოგვიანებით ვთქვათ) იხილეს და მიიღეს ვერსია, რომ ისინი „თეთრი რასის“ დატოვებული იყო., ისინი ანტარქტიდის მიმართულებით გაუყვნენ და დაარსეს ერთ-ერთი პირველი სადგური, რომელიც ამჟამად „სან მარტინის“ სახელითაა ცნობილი, გემებმა კი გზა განაგრძეს. ამ სადგურიდან გამუდმებით ფრენდნენ მათი მზვერავი თვითმფრინავები და ასე იპოვეს „ოაზისი“.

სურათების გამჟღავნებამ გამოაჩინა რაღაც ნაგებობების კვალი და მიჰყვნენ აღმოჩენას. ეს იყო მკვდარი ქალაქი, სადაც დარჩენილი იყო შენობის ნანგრევები, საფეხურები, შავი ობელისკები. მიწა, რაზეც იდგნენ, ვერ დაადგინეს, ხელოვნურად დამუშავებული კლდე იყო, თუ ერთმანეთთან იდეალურად მიბჯენილი ქვის ბლოკები.

(გაგრძელება იქნება)

საქართველო-ჩინეთი – ახალი თავსატეხი

საკვირველ მოცემულობაში ვართ! ყველაფერში, რაც საქართველოსთვის სასიკეთოდ მიგვაჩნია და საქართველოსა და მისი მოსახლეობის საკეთილდღეოდ ნაბიჯს დგამს საქართველოს ხელისუფლება, მყისიერად ერთვება საქმეში ვიღაც გადამთიელი და ხელებს ასავსავებს (ენასთან ერთად), თქვენ, ქართველებს, ეგ „სიკეთეები“ არ გეკუთვნითო და თითიდან გამოწოვილი აბსურდული მიზეზებით, რაღაცის მიზანშეუწონლობას ვითომ გვიმტკიცებს.

ამჯერად ჩინეთთან საქართველოს ურთიერთობა გახდა მავანთათვის სასწაულად მიუღებელი, რადგან, თურმე ჩინეთი კომუნისტური ქვეყანაა. კი, მაგრამ, ეს ხომ იგივე ჩინეთია, რომლის მეთაური ევროპაში ფრიად სასურველი და მიღებული სტუმარია, ფეხქვეშ ეგებიან ევროპის წამყვანი ქვეყნების მეთაურები, ოლაფ შოლცი და ემანუილ მაკრონი, ხოლო შვეიცარიას მასთან სულაც სავაჭრო შეთანხმება აქვს დადებული? იგივე ჩინეთია, აშშ-ს რომ მნიშვნელოვანი სავაჭრო ინტერესები აქვს...

ჩინეთი, რომელმაც საქართველოსთან მეგობრობა მტკიცედ გადაწყვიტა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი გახდა, ისევ ის კომუნისტური ჩინეთია, რომელთან ურთიერთობის გზების ძიებას არც აშშ და არც ევროკავშირი არ თაკილობს, პირიქით, კიდევ უფრო რანაირად დაინტერესონ და მოუქონონ თავი, იმაზე დაიწყეს გამეცადინება. საქართველო კი ახალ ულტიმატუმებსა და მწვავე რეაქციებს უნდა ელოდეს ყველა მათგანისგან, დაშორდით ჩინეთს, ჩვენ უნდა „ვიამხანაგოთ“ მასთან, შენ არაო?

ვერაფრით ვხვდები, რა უნდა აშშ-ის ელჩს, საქართველოც და აშშ-ც ხომ იმ ერთ ჩინეთზე ვსაუბრობთ, სადაც მისი, აშშ-ის პრეზიდენტი თუ სახელმწიფო მდივანი რომ ჩადიან და მათთვის ჩვეულ ყალბ მეგობრობას უმტკიცებენ?

ყველა ქვეყანა ხედავს, რომ მსოფლიო დაიპყრო კომუნისტურმა გამრჯე ჩინეთმა. მის 80%-იან წილად მოდის მთელი რიგი პროდუქციის წარმოება, ვთქვათ, მსუბუქ და მძიმე მრეწველობაში, ფარმაციაში, სამშენებლო მასალებით, მრავალფეროვანი საკვები პროდუქტებით, წიაღისეულის მოპოვებით, გზების მშენებლობით და ა. შ. უამრავ სფეროში, მათ შორის, „ხარახურაში“, რომელიც ვითომ უმნიშვნელოა, მაგრამ რეალურად, მნიშვნელოვანი თანხის დამგროვებელია.

როგორც ვხედავთ, მავანთათვის პატარა საქართველო მხოლოდ რომელიღაც დიდი და ძლიერი ქვეყნის კოლონიად განიხილება და არა თვითმყოფად პატარა სახელმწიფოდ. სხვაგვარად აუხსნელია, რატომ გვიპირებს უფროსობას ყველა, რატომ უნდა ვუსმინოთ „დაუძინებელი მეგობრების“ მითითებებს და რატომ უნდა შევასრულოთ ჩვენთვის მიუღებელი, მაგრამ მათთვის მისაღები უსარგებლო, მეტწილად საქართველოს დამაქცევარი რჩევა-ბრძანებები? თუმცა, გარეულს რას ვედავებით, როდესაც შინაური გყვავს ასალაგმი, ადამიანთა ის კატეგორია, რომელიც სწორედაც რომ იგივენაირად ფიქრობს — საქართველო კოლონია უნდა იყოს, ოღონდ, მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა ან კრებსითი ევროპისა, ანდა სულაც, ორივესი, ხან ერთმა უკაკუნოს თავში, ხან მეორემ, ზოგჯერ კი ორივემ ერთად — სხვა ვარიანტები არ განიხილება. ამასწინათაც ვთქვი, თუ მათრახი უნდა მიტყლაშუნოს ვინმემ, რა მნიშვნელობა აქვს, ვის ხელს უკავია ის მათრახი, მე ხომ მხვდება?

საქართველოს ადგილი და ღირსება არ იციან, რუსეთთან ან სხვა მეზობელთან საომარ სათამაშოდ ვჭირდებით მხოლოდ, თორემ სხვაგვარად შემოგვხედავდნენ. „ქართული ოცნების“ ხელისფლებამ რომ მტკიცე უარი განაცხადა ვინმეს ხელქვეითობასა და მავანთა ხუშტურების შესრულებაზე, ამიტომ უნდათ ამ ხელისუფლების დამხობა მათი სისხლზე დაგეშილი ხელის გოგო-ბიჭების მოქსევით, თორემ ცალ ფეხზეც არ ჰკიდიათ, ერთმანეთს თუ დავერევით და ცოდვის კალო გაიმართება...

ახალი დემაგოგია შემოაგდეს, როდესაც შენს ქვეყანაში 80% ჩინური საქონელი იქნება და შენ არაფერს აწარმოებ, ეს პარტნიორობა კი არა, ეკონომიკის მონოპოლიზაცია არისო.

„აწარმოე საქართველოში!“ — ამ პროგრამის ფარგლებში რამდენმა დაუზარელმა და გონიერმა ქართველმა ისარგებლა — აწარმოე შენც! თუ შენ მხარ-თეძოზე წამოწვები და თითს არ გაანძრევ, არ აწარმოებ, ჩინეთიდან შემოტანა ჩინეთის მონოპოლიზაციაა და თუ, ვთქვათ საფრანგეთი შემოიტანს სანაცვლოდ და იმავე რაოდენობის პროდუქციას და ხუთმაგ ფასში, მაშინ არა უშავს და არც ფრანგული ეკონომიკის მონოპოლიზებაა? — მაოცებს ასეთი ლოგიკა!

დეიდაშვილმა ნიუ-იორკიდან საჩუქრები რომ ჩამომიტანა, მათგან ერთი განსაკუთრებით მომეწონა როგორც ხარისხით, ისე ვიზუალით. დავხედე და აწერია „ჩინეთი“. გავოცდი, მეთქი, ნიუ-იორკიდან ჩინური კოფთა თბილისში რომ ატარე, აქ ჩინურების მეტი რა არის-მეთქი. ამიხსნა, რომ ჩინეთი პროდუქციას აწარმოებს ადგილობრივი გაყიდვებისთვის და ცალკე, საიმპორტოდ, რაც აბსოლუტურად განსხვავებულია ხარისხით. ასე პრაგმატულად უდგებიან ყველაფერს ჩინელები.

ამჯერად, რადგან საქართველოსთან მეგობრობა მათ ინტერესშია, სხვაგვარად მოაზროვნე პრაქტიკული ჩინეთი ისეთ ნაბიჯებს დგამს ჩვენკენ, რომ საქართველოსთვის ყველანაირად ხელსაყრელია მასთან ეკონომიკური ურთიერთობა.

საქართველოში ტაივანის ნჯოაგენტები რას ამბობენ, მათ გარდა არავის აინტერესებს, თუმცა ერთგვარად მაინც ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე გავლენას — ამისთვის ფინანსდებიან და ეს ასეც იყო გათვლილი, მაგრამ უცხო ქვეყნის ინტერესების დაცვის პარალელურად არსებობს ცივი გონებით ხედვაც. ამ ეტაპზე და ხანგრძლივ სამერმისოდაც, საქართველოსთვის ყველაზე ხელსაყრელია ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობა ვის ყველაზე ხელსაყრელია ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობა ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინეთს სჭირდება კავკასიის მაგისტრალი და ანაკლიის პორტი, შესაბამისად, როდესაც ვინმეს შორსმიმავალი მიზნებისთვის ადგილობრივ და ადგილის მფლობელ პარტნიორად სჭირდები, ის ქედმაღლურად კი არ გიყურებს, არამედ ცდილობს, რომ შენში უღალატო პარტნიორი განავითაროს.

ახლა, როდესაც სტრატეგიული დერეფანი ჩვენია, ჩვენვე რომ უნდა ვაკონტროლოთ და არა ვიღაც გადამთიელმა, ახლა დგას ის მომენტი, რასაც გავლენების გადანაწილება ჰქვია და ამ შანსის ხელიდან გაშვება აზრადაც რომ არ აქვს „ქართულ ოცნებას“, ამიტომ არის საქართველოს მეგობრობა კომუნისტურ ჩინეთთან მიუღებელი „დაუძინებელი და ხარბი მეგობრებისთვის“.

დღე მსოფლიო მასშტაბით კარგად ჩანს, ვინ არის „ფულიანი

14 ბ.

საქართველოს მეტი სუვერენიტეტი აშშ-ის აგენტურული ქსელის გავლენის შემცირებას ნიშნავს

გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი პავლე კახიძე.

- პაპუნა, მოდი, ყველაზე აქტუალური თემით, ფეხბურთით დავიწყოთ. წელს პირველად, საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა. როგორ შეაფასებდი საქართველოს თამაშს ჩეხეთის გუნდთან?

- ძალიან კარგი თამაში იყო, ბევრად უკეთესი - ვიდრე თურქეთთან. მოწინაღმდეგეც ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე თურქეთის გუნდი. ჩვენმა ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, ბოლომდე დაიხარჯნენ, ძალიან დამწყდა გული, რომ შესაძლებელი იყო მოგება, მაგრამ არ გაგვიმართლა. თუმცა, ბიჭებს თავი ნამდვილად არ დაუზოგავთ. შემდეგ ეტაპზე პორტუგალიასთან მოგება ძალიან რთული იქნება, მაგრამ უდიდესი სურვილი გვაქვს, რომ საუკეთესო შედეგი დავდოთ და თუ იღბალიც უფრო მეტად იქნება ჩვენკენ, იმედია, გავიმარჯვებთ!

- ყველაფერი ხომ პოლიტიზებულია ამ ქვეყანაში. მავანი ამტკიცებს, რომ ბუდუ ზივზივაძე ხელისუფლებამ პოლიტიკური ნიშნით გამოარჩია და თამაშის საშუალება არ მისცა...

- ეს არის ჩვეულებრივი შეთქმულების თეორია. საქართველოს ნაკრებს ჰყავს მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი, რომელიც წყვეტს, ვინ უნდა ითამაშოს და ვინ - არა და ის ამ საკითხში დამოუკიდებელია. რა თქმა უნდა, ბუდუ ზივზივაძე ძალიან კარგი ფეხბურთელია და ძალიან კარგად თამაშობს, თუმცა, ამჯერად, ალბათ, სანიოლი გუნდს ასე უფრო ხედავს. ვაღიარებ, მე ვფიქრობ, რომ ბუდუმ უნდა ითამაშოს და ამ გადაწყვეტილებაში პოლიტიკა ფიზიკურად ვერ ჩაერევა. უნდა გადაწყვიტოს. ბოლო სიტყვა მაინც მთავარ მწვრთნელზეა და თუ ის პირადი ინიციატივით რაღაც შეცდომას უშვებს, საკუთარი სახელით აგებს ამაზე პასუხს. მწვრთნელს არანაირი ვალდებულება არ გააჩნია არცერთი პოლიტიკოსის წინაშე. მთავარი მწვრთნელი არის ხელშეკრულებით დაქირავებული ადამიანი, რომელიც ნაკრებს წვრთნის და აწყობს გეგმას, თუ როგორ ითამაშოს გუნდმა. მას ვერავინ მიუთითებს, რა უნდა გააკეთოს. გარდა ამისა, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც უნდა, რომ საქართველოს ნაკრებმა მოიგოს და ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას მივაღწიოთ. ჩემთვის, პირადად, სულ ერთია, გოლს ბუდუ ზივზივაძე გაიტანს, ხვიჩა კვარაცხელია, თუ ვინმე სხვა - მთავარია მიზანი!

უბრალოდ, ქართული ოპოზიცია, როგორ ყველაფრის, ამ თემის სათავისოდ გამოყენებას ცდილობს. ასევე იყო, როცა საბერძნეთთან მოვიგეთ. მაშინაც აპელირებდა ოპოზიცია, რომ ამ გამარჯვებას მხოლოდ „ქართული ოცნება“ მიიწერს და ცდილობს, ისე დაანახოს საზოგადოებას, რომ თითქოს მათ გააკეთეს ყველაფერიო. რა თქმა უნდა, ფეხბურთი ბიჭებმა ითამაშეს, თუმცა, რომ არა ხელისუფლების მხარდაჭერა, რომ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერა, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით, ასეთი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

ზოგადად, როდესაც ეროვნული ნაკრები წარმატებას აღწევს, რა სპორტშიც უნდა იყოს, ეს ხელისუფლების დამსახურებაც არის. თუმცა, 30 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გავედით და ვფიქრობ, ნებისმიერი ქართველისთვის ეს საამაყო და სასიხარულო უნდა იყოს. შეიძლება ვინმეს ფეხბურთი არ უყვარდეს, მაგრამ როცა ეროვნული ნაკრები თამაშობს, ევროპის უდიდეს სტადიონზე საქართველოს დროშა ამაყად ფრიალებს და საქართველოს ჰიმნი ისმის, წარმოუდგენელია, სისხლი არ აგიდუღდეს და პატრიოტიზმისა და სიამაყის განცდა არ დაგეუფლოს! ამ ყველაფრის განელებას რომ პოლიტიკური ქულების ჩასაწერად ცდილობენ, ძალიან სამწუხაროა.

ჩვენ გვჭირდება ერთიანობა. სპორტში წარმატება კი ზუსტად ის არის, რაც გვაერთიანებს. თუმცა ოპოზიციას არ აწყობს ამ ხალხის ერთობა, რადგან დომინანტობას კარგავს თავის ელექტორატში.

- რაც შეეხება ამერიკის ელჩის განცხადებას ჩინურ კომპანიასთან დაკავშირებით... საინტერესოა თქვენი შეფასება, დანიგანმა ნიღაბი ჩამოიხსნა და ჩვენი პრეზიდენტის ენაზე დაიწყო საუბარი, რომ თითქოს საქართველო საბჭოთა მეთოდებით ებრძვის „დემოკრატიის შუქურას“...

- რობინ დანიგანი, წინა ელჩთან შედარებით, ბევრად ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანია იმ მიზნისთვის, რისთვისაც ის საქართველოში გამოაგზავნეს. თუმცა, მან იცის, რომ ადმინისტრაციას, რომელმაც ის დანიშნა, სულ ცოტა დრო აქვს დარჩენილი. საქართველოში არჩევნების ჩატარებიდან ხუთ დღეში ტარდება არჩევნები ამერიკაში. თუ მოქმედი ადმინისტრაცია შეიცვლება (იმედი მაქვს, ასეც მოხდება) და ბაიდენი სახლში წავა, ამ ელჩს მოუწევს ახალი ადმინისტრაციის ფარგლებში საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობა. ამიტომაც, აქამდე ცდილობდა, რომ ჩვენს ხელისუფლებასთან ურთიერთობა არ გაეფუჭებინა და შედარებით ნეიტრალური პოზიცია ეჭირა, მაგრამ, როგორც ჩანს, „ზემოდან“ წნეხმა იმატა და მანაც ვეღარ გაუძლო. ამერიკამ ვერ შეძლო ამ ვითომ „რუსული კანონით“ ბუნტისა და არეულობის მოწყობა და გადაწყვიტა, სხვა გზას მიმართოს, რათა, რაც შეიძლება მეტი პროცენტი მიიღოს ოპოზიციამ, რომ დეპუტატთა ის რაოდენობა მაინც შეინარჩუნოს, ვინც ჰყავს პარლამენტში. აქ ხომ არჩევნების მოგებაზე არ არის საუბარი.

ამერიკა დღემდე გვამადლის იმ ექვს მილიარდ დოლარს (რეალურად კი, 4 მილიარდს), საიდანაც ათი პროცენტიც არ მისულა ქართველ ფერმერამდე, გლეხამდე და გაჭირვებულ ადამიანებამდე. ეს თანხა ოფიციალურად, თითქოს, საქართველოში დემოკრატიის გადამზადებას და ხელშეწყობას ხმარდებოდა, რეალურად კი ფინანსდებოდნენ: „თავისუფლების ინსტიტუტი“, გიგა ბოკერიას პარტია, „ნაცმოძრაობა“ და მათი სატელიტები. ამ თანხით ცდილობდა ამერიკა საკუთარი აგენტურული ქსელის გაძლიერებას საქართველოში. ეს არახალია, წიგნებია ამაზე დაწერილი და არც თავად უარყოფენ, რომ ეს მათთვის ნაცადი მეთოდია.

ამდენ თანხასაც არ დახარჯავდნენ ჩვენთვის, რომ არ ყოფილიყო ისევ მათი დავალებით, 2008 წელს გამოწვეული აგვისტოს ომი საქართველოში. 2008 წლის ომის შემდეგ, აშშ-ს მოუწია საქართველოს განადგურებულ ეკონომიკაში თანხის ჩადება, რადგან ისევ მათ აგენტურულ ხელისუფლებას შეენარჩუნებინა ძალაუფლება.

როდესაც ელჩი ამბობს, რომ ჩინეთთან ურთიერთობა არ შეიძლება, შევხედოთ, რა ხდება მეორე მხარეს, რა საფუძვლით გვიკრძალავენ ჩინეთთან ურთიერთობას, - იმის გამო, რომ ის რუსეთთან ვაჭრობს?! ევროკავშირი ანალოგიურად ვაჭრობს რუსეთთან არაპირდაპირი გზებით, ინდოეთის გავლით, რასაც უკვე აღარ მალავენ. ამერიკას დღემდე აქვს სავაჭრო ურთიერთობა ჩინეთთან და ორივე მხარე ამით სარგებლობს, ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ ის არ შეიძლება, რაც მათთვის შესაძლებელია. ზუსტად იგივე მოცემულობაა ახლა, რაც იყო გამჭვირვალობის კანონთან დაკავშირებით. რაც მათთვის შეიძლება - ჩვენთვის არ შეიძლება! თუმცა, დროა, ჩვენმა დასავლელმა მეგობრებმა გააცნობიერონ, რომ საქართველო აღარ არის მეორეხარისხოვანი ქვეყანა. საქართველო გაძლიერდა, ხალხი, პოლიტიკური თვალსაზრისით, დაბრძენდა, მეტი ისწავლა და ხედავს, რომ პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მეგობრები - არსებობს მუდმივი ინტერესები. დღეს საქართველო ყველა დიდი ქვეყნისთვის არის ინტერესის სფერო და ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ მივიღოთ მათგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი. რა თქმა უნდა, ამერიკას არ აწყობს საქართველოში ჩინური გავლენა და ქვეყნის დამოუკიდებლობა, რადგან საქართველოს მეტი სუვერენიტეტი აშშ-ის აგენტურული ქსელის შესუსტებას და მისი გავლენის შემცირებას ნიშნავს. თუმცა, პარტნიორობა და მეგობრობა თანასწორობას გულისხმობს და არა ყმისა და ბატონის ურთიერთობას. ჩვენ არ გვინდა არც ამერიკასთან, არც ჩინეთთან და არავისთან ბატონისა და მონის ურთიერთობა. ჩვენ გვინდა თანასწორი ურთიერთობა. ეს არის მხოლოდ, რასაც ვითხოვთ!

- ამერიკის ელჩის განცხადება ჩვენი ჩინელი პარტნიორებისთვისაც შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა და შესაბამისი პასუხიც მიიღო მათგან დანიგანმა...

- რა თქმა უნდა! ანაკლიის პორტი არის მშვიდობისა და ეკონომიკური გაძლიერებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ჩინეთისთვის ეს პორტი მნიშვნელოვანია სავაჭრო თვალსაზრისით, რადგან ანაკლისის პორტი იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამტარი, რომელიც შეძლებს მათი პროდუქციის ევროპისთვის მიწოდებას. პროექტი არა მხოლოდ საქართველოსა და ჩინეთისთვის, არამედ ევროკავშირისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ის პროდუქცია, რაშიც აქამდე ევროპელები მეტ თანხას იხდიან და რის მიწოდებასაც მეტი დრო სჭირდება, უფრო ნაკლები დაუჯდებათ და ნაკლებ დროშიც მიიღებენ. ყველა მოგებული დარჩება, ამერიკის გარდა. ამერიკის ელჩის ეს განცხადებაც მიმართულია იქით, რომ როგორმე ჩინური კომპანია გავიდეს და არ დაიწყოს ანაკლიის პორტის მშენებლობა, რადგან ანაკლიის პორტი საქართველოს ეკონომიკას გააძლიერებს და ქვეყნის სუვერენიტეტის ერთ-ერთი ბურჯი იქნება. სწორედ ამის ეშინიათ ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს.

ჩინეთთან ახლახან დავიწყეთ ურთიერთობები და უკვე უვიზო მიმოსვლა გვაქვს. ამერიკა კი, სტატისტიკურად, საქართველოს მოქალაქეებისთვის ბევრად ნაკლებ ვიზას გასცემს, ვიდრე ავღანეთის მოქალაქეებისთვის. ავღანეთში ხომ ქართველები ამერიკელებთან ერთად იბრძოდნენ. ჩვენი თანამემამულეები დაიხოცნენ იმ ომში, რომელიც ჩვენი ომი საერთოდ არ ყოფილა და არც გვეხებოდა. დღეს კი, უფრო მეტ ავღანელს უშვებენ ვიზით ამერიკაში, ვიდრე ქართველს, ვისთან ერთადაც ავღანელების წინააღმდეგ გვერდიგვერდ იბრძოდნენ. ეს არის უპატივცემულობა არა იმ მთავრობისა, რომელიც ავღანეთის ომის დროს იყო, ან ახლა არის საქართველოში, არამედ, ქართველი ხალხის!

როგორც რუსებს სურდათ საქართველო, ქართველების გარეშე, დაახლოებით იგივე სურს დღეს ამერიკას. მათ უნდათ საქართველო იმ შემთხვევაში, თუკი აქ იქნება მათი მთავრობა ამერიკული გავლენებით. ჩვენ კი ვეტყოდით, რომ არ არსებობს არჩევანი სახელმწიფოებრიობასა და სხვა ნებისმიერ საკითხს შორის. როცა არჩევანი დგება, საქართველო თუ „სხვა“, აქ „თუ“ აღარ უნდა დაისვას - პასუხი ყოველთვის იქნება საქართველო, ეს არის უალტერნატივო! ამიტომ, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული ურთიერთობები გადაიხედოს და მივიღოთ ის ზომები, რაც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისთვის აუცილებელია.

ნონა ქარქაშაძე

მსოფლიო „გლადიატორების ორთაბრძოლის“ მოლოდინში

გავლენების სფეროების გადანაწილების პროცესი მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს. პოლიტოლოგების ვარაუდით, აღნიშნული პროცესი სულ მცირე, ერთიორი წლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა მოვლენები. ყოველივეს დავუმატოთ აღმოსავლეთ აზიაში, კერძოდ, ტაივანში არსებული ჯერაც გაურკვეველი სიტუაცია. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი ხელისუფლება ცდილობენ, შეინარჩუნონ მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში დომინანტის სტატუსი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა ვერ შეძლეს რუსეთისთვის რიგით მე-14 სანქციების პაკეტის დამტკიცება უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით. ივნისის შუა რიცხვებში, შვეიცარიის ელიტურ კურორტ ბიურგენშტოკში გაიმართა „უკრაინის სამშვიდობო კონფერენცია“, რომელშიც 92 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობდა. უკრაინელთა სამწუხაროდ, ღონისძიებაში მონაწილეობაზე ოფიციალურად უარი მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი ქვეყნის ლიდერებმა განაცხადეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის რომ კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღიათ აშშ-ის პრეზიდენტს, ჯო ბაიდენს, მის ბრაზილიელ კოლეგას, ლულა და სილვას და ჩინეთის მმართველს, სი ძინპინს. სამაგიეროდ, კონფერენციაში მონაწილე 92 ქვეყნიდან უმეტესობა ისეთი სახელიწოფოები იყო, თავად რომ არიან გასაჭირში და საკუთარი პრობლემები აქვთ მოსაგვარებელი.

განსაკუთრებით საყურადღებო გახლდათ კონფერენციის პარალელურად რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის განცხადება უკრაინის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებამდე ქვეყნის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ საერთაშორისო საკითხებში გრიგორი კარასინმა აღნიშნა, რომ „მოსკოვმა არაერთხელ გამოთქვა მზადყოფნა კონფლიქტის დიპლომატიური გზით დასარეგულირებლად“.

პუტინის განცხადება-მოთხოვნა გაცილებით ხისტი აღმოჩნდა. მისი თქმით, „უკრაინასთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისთვის აუცილებელია, მათმა ხელისუფლებამ გაიყვანოს ჯარები დონბასის, ლუგანსკის, ზაპოროჟიეს და ხერსონის ოლქებიდან (ანუ, რუსეთთან ახალმიერთებული ტერიტორიებიდან — გ. ბ.). როგორც კი კიევის ხელისუფლება განაცხადებს, რომ მზად არის აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად და რეალურად დაიწყებს ჯარების გაყვანას აღნიშნული ტერიტორიებიდან, ასევე, ოფიციალურად უარს იტყვის ნატო-ში გაწევრიანებაზე, ჩვენ მაშინვე გავცემთ ბრძანებას ცეცხლის შეწყვეტაზე და დავიწყებთ მოლაპარაკებას“.

რუსეთის პრეზიდენტმა სხვა პირობებიც წაუყენა უკრაინას. კერძოდ, უკრაინის ხელისუფლებამ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებამდე უნდა დააფიქსიროს ქვეყნის სრული ნეიტრალიტეტი, უარი თქვას ნებისმიერ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებაზე, განახორციელოს დემილიტარიზაცია-დენაციფიკაცია და მიიღოს არაბირთვული ქვეყნის სტატუსი. პუტინის თქმით, ყოველივე უნდა დაფიქსირდეს „ფუნდამენტურად საერთაშორისო შეთანხმებით“, რადგან „ყოველივე ეს რუსეთის პრინციპული პოზიციაა“.

უკრაინის ვადაგასულმა პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ „როიტერთან“ საუბრისას განაცხადა, რომ პუტინის ნდობა არ შეიძლება და რუსი კოლეგის შეთავაზებას ულტიმატუმი უწოდა.

წლევანდელი „დიდი შვიდეულის“ (G-7) ქვეყნების სამიტი საიუბილეო, 50-ე გახლდათ, რომელსაც იტალია მასპინძლობდა თავმჯდომარის სტატუსით. განსახილველ საკითხებად სახელდებოდა ვითარება ახლო აღმოსავლეთში, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, აფრიკის კონტინენტზე არსებული სიტუაცია. G-7-ის ლიდერებმა მოუწოდეს რუსეთს, უკრაინას აუნაზღაუროს 486 მლრდ დოლარის ოდენობის მიყენებული ზარალი... განსაკუთრებით აღნიშნეს G-7-ის წევრი ქვეყნების მეთაურებმა, რომ შეშფოთებულები არიან რუსეთ-ჩინეთის მჭიდრო თანამშრომლობით და მოუწოდებენ ჩინეთს, უკრაინასთან დაკავშირებით რუსეთზე ზეწოლა მოახდინოს.

იტალიის G-7-ის სამიტზე განსაკუთრებით თვალშისაცემი გახლდათ აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რამაც სერიოზულად შეაშფოთა სამიტის მონაწილეები, აშშ-ის მოსახლეობა და პოლიტიკოსები. აქვე სათქმელია, რომ G-7-ზე მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჯორჯა მელონი გამოიყურებოდა ლაღად.

პოლიტოლოგებმა წლევანდელ G-7-ის სამიტს „კოჭლი იხვების“ აღლუმი უწოდეს. რაც შეეხება ბაიდენს, ჯანმრთელობის მხრივ ასეთ ცუდ მდგომარეობაში ჯერ არ ყოფილა, ხშირად კარგავდა კონცენტრაციას. ერთ-ერთ ღონისძიებაზე გაურკვეველი მიმართულებით წავიდა და მისი ადგილზე დაბრუნება მელონის მოუხდა, რომელსაც შეშფოთება აშკარად ეტყობოდა. შეხვედრაზე ჯო ბაიდენმა 20 წუთით დააგვიანა, უმიზეზოდ იცინოდა. მასპინძლებს რატომღაც სამხედრო ყაიდაზე მიესალმა. დახმარების გარეშე ვერ შეძლო კიბის სამ საფეხურზე ასვლაც კი. ამიტომაც წერდა იტალიური პრესა, რომ „გაიმართა მელონისა და 6 კოჭლი იხვის შეხვედრა“.

მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოების ყურადღება აღმოსავლეთ აზიისკენ იყო მოპყრობილი. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ახორციელებდა ორ ქვეყანაში — ჩრდილოეთ კორეასა და ვიეტნამში ოფიციალურ ვიზიტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პუტინი ჩრდილოეთ კორეაში 24 წელი არ ყოფილა. 2000 წელს ვიზიტის დროს იგი კიმ ჩინ ირს, ამჟამინდელი მმართველის, კიმ ჩინ ინის მამას შეხვდა. მას შემდეგ ურთიერთობა თითქოს შეწყდა ორ ქვეყანას შორის, მაგრამ ბოლო წლებში ვითარებამ დათბობა დაიწყო. შარშან სექტემბერში კიმ ჩინ ინი რუსეთში, კერძოდ, შორეულ აღმოსავლეთში მეორედ ჩავიდა, სადაც პირადად პუტინი დახვდა, დაათვალიერა „ბაიკონურის“ კოსმოდრომი, სხვადასხვა სამხედრო საწარმოები. სწორედ მაშინ მიიწვია საპასუხო ვიზიტით პუტინი კიმ ჩინ ინმა, რაზეც თანხმობა იქვე მიიღო.

საერთაშორისო პრესა, შეძლებისდაგვარად დეტალურად აშუქებდა პუტინის ვიზიტს კორეის ნახევარკუნძულზე, რასაც ახერხებდნენ ევროპელი და ამერიკელი ჟურნალისტები რუსი და მასპინძელი კოლეგების დახმარებით. მის ჩასვლამდე ჩრდილოეთ კორეის ოფიციალურ გამოცემაში დაიწერა: „...დიდი პატივია, ჩვენმა ქვეყანამ რუსეთთან ერთად იბრძოლოს იმპერიალიზმის წინააღმდეგ“. თავისთავად, ნებისმიერი ოფიციალური ვიზიტის დროს ქვეყნების მმართველები აფორმებენ ხელშეკრულებებს. არც პუტინის ვოიაჟი იყო გამონაკლისი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსეთ-ჩრდილოეთ კორეის ერთ-ერთი მთავარი შეთანხმება — ორივე ქვეყანა განახორციელებს ურთიერთსამხედრო დახმარებას, თუ რომელიმე მათგანს თავს დაესხმებიან გარეშე ძალები. ოფიციალურად არ გაცხადებულა, მაგრამ რუსეთის მხარე არ გამორიცხავს, გადასცეს საკუთარი შეიარაღება სხვა ქვეყნებს, მათ შორის, ჩრდილოეთ კორეას. ამიტომაც, სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს რუსეთის ელჩი და საპროტესტო ნოტა გადასცეს. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენლმა, ჯონ კირბიმ განაცხადა: „... ჩრდილოეთ კორეაში პუტინის ვიზიტით შეშფოთებულები არ ვართ. ჩვენ გვაღელვებს ამ ორი ქვეყნის დაახლოება“.

ჩრდილოეთ კორეიდან პუტინი ვიეტნამში ჩავიდა ასევე ოფიციალური ვიზიტით, რომელიც მეექვსე გახლდათ. სტუმარს იქაც პომპეზური დახვედრა მოუწყვეს. პუტინის ვიეტნამში ჩასვლამაც გააღიზიანა აშშ-ის ოფიციოზი. ისინი, ფაქტობრივად, დაემუქრნენ ვიეტნამელებს. ამიტომ, სამშობლოში პუტინის დაბრუნების შემდეგ ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ აშშ მათი სტრატეგიული მოკავშირეა, რითიც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ შიშს მართლაც დიდი თვალები ჰქონია.

გამალებული სამზადისია აშშ-ში 27 ივნისს დაგეგმილი ტელედებატებისთვის ჯო ბაიდენსა და დონალდ ტრამპს შორის. დემოკრატების მთავარი თავსატეხია, როგორ მოახერხებს „მძინარე ჯო“ 90 წუთს გაუძლოს მოსალოდნელ მწვავე დიალოგს კონკურენტთან. აშშ-ის პრესის ინფორმაციით, ჯო ბაიდენი თითქმის ათი დღეა, კემპდევიდის რეზიდენციაში ჩაიკეტა თავის უახლოეს თანაშემწეებთან ერთად და იქ ემზადება დებატებისთვის. დემოკრატებს განსაკუთრებით აღელვებთ, როგორ შეძლებს ბაიდენი საათ-ნახევრის განმავლობაში ფეხზე დგომას და მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემების დამახსოვრებას. შეგახსენებთ, დებატები სუფლიორის გარეშე უნდა გაიმართოს. გავრცელებული ინფორმაციით, სხვადასხვა ძლიერმოქმედი პრეპარატით აპირებენ პრეზიდენტის გაჭყეპვას, რათა როგორმე შეძლოს დებატების დასრულებამდე ფეხზე დგომა და საუბარი.

ამ კვირის ბოლოს გამოიკვეთება კიდევ ერთი პრეზიდენტის, ამჯერად საფრანგეთის პრეზიდენტის პოლიტიკური მომავლის კონტურები. თვის ბოლოს ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაიწყება, სადაც ემანუელ მაკრონის პარტიის კრახს პროგნოზირებენ, მით უფრო, რომ ბოლ ორი კვირის განმავლობაში მისი პარტიიდან წევრებმა დაიწყეს გასვლა და, ფაქტობრივად, მომხრეებიც აუმხედრდნენ მას.

ორი დღის წინ პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ დაიწყო ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტი ჩინეთში. სავარაუდოდ, სტუმარი მასპინძლებს თავის ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებას სთხოვს. საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება, მისი ვიზიტისა და ჩინეთთან დამეგობრების წინააღმდეგ არც ევროპელები და არც ამერიკელი ჩინოვნიკები არაფერს ამბობენ. გამოდის, რომ მავანისთვის შეიძლება ჩინეთთან მეგობრობა და მის ქვეყანაში იქაური ინვესტიციების განხორციელება, ჩვენთვის კი რატომღაც — არა! ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს მსოფლიოში დღეს არსებულ ორმაგ სტანდარტებზე.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას — უდავოდ საინტერესო და ამაღელვებელ „გლადიატორების ორთაბრძოლას“ ბაიდენსა და ტრამპს შორის. გამარჯვებული 5 ნოემბერს გამოვლინდება, მაგრამ პირველივე რაუნდში უკვე გამოიკვეთება მსოფლიოს მოწყობის ახალი მოდელი.

გია ბურდული

საქართველო-ევროპის სამართლებრივი თანამშრომლობა აქტიურად გრძელდება

დავით ასათიანი ევროპის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ აირჩიეს

იმ დროს, როდესაც ოპოზიციური მედიები ისტერიულად გვამუნათებენ, ქვეყანა ევროპას დაცილდაო, საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის იურიდიული თანამშრომლობა, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ისევ აქტიურად გრძელდება.

ჩვენ უარს არ ვამბობთ, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ ისეთ საერთაშორისო ინსტიტუტთან, როგორიც სტრასბურგის სასამართლოა, რადგან მან ბოლო ხანს დაამტკიცა, რომ სამართლიან გადაწყვეტილებებს იღებს. მაგალითად, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ პირდაპირ თქვა, რომ არ არსებობდა საჭიროება, იგი სამკურნალოდ გადაყვანილიყო საზღვარგარეთ, რამაც ანგაჟირებული მედიასაშუალებები, თავიანთი დამკვეთებითურთ, საერთოდ დაადუმა.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება საქართველოში კოკა კაციტაძის უწყებამ ითავა. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა არაერთი დამნაშავე პოლიციელის მიმართ დაიწყო გამოძიება და ზოგიერთ თავგასულ სამართალდამცავს „დამსახურებისამებრ“ მიეზღო კიდეც. პოლიციურ წრეებში ხუმრობენ, სპეციალური საგამოძიებო ის სამსახურია, სადაც კოლეგიალობა და ნაცნობობა არ ჭრისო.

ძირითად თემას რომ გავყვეთ, სტრასბურგის სასამართლო შეუვალი იყო მათ შორის, თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის გადაწყვეტილებაშიც, კერძოდ, სპეციალურ საგამოძიებო ორგანოს სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული 2023 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულება დაევალა. კაციტაძის უწყების მიერ მიღებული დასკვნის თანახმად, რომელიც მან ოფიციალურად გაავრცელა, ადგილი არ ჰქონია სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) არსებითი ნაწილის დარღვევას. საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და ევროპულმა სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ არ არსებობდა მისი განხილვის აუცილებლობა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მხრიდან დარღვევა დაფიქსირდა მხოლოდ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ ნაწილში. უფრო კონკრეტულად რომ განვუმარტოთ საზოგადოებას, 2024 წლის მარტში მინისტრთა კომიტეტმა გამოსცა რეკომენდაცია „მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც არ ითვალისწინებს საქართველოს მიმართ მოწოდებას გამოძიების განახლების თაობაზე და ის მხოლოდ აკეთებს დათქმას, რომ საგამოძიებო ორგანომ განიხილოს აღნიშნული საქმე და იმსჯელოს, რამდენად მიზანშეწონილია გამოძიების განახლება.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის ფარგლებში შესწავლის მიზნით, გამოითხოვა მაჩალიკაშვილის საქმე, რომელზეც გამოძიება 2020 წლის 25 იანვარს შეწყდა. შესწავლის დასრულების შემდეგ სამსახურმა მიიღო დადგენილება, რომელშიც დეტალურად და არგუმენტირებულად არის ახსნილი, თუ რატომ ვერ ხედავს უწყება გამოძიების განახლების მიზანშეწონილობას. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დამოუკიდებელმა საგამოძიებო ორგანომ გამოძიება დაიწყო იმავე დღეს, როცა ჩატარდა სპეცოპერაცია, ყოველგვარი შეფერხების გარეშე და გაატარა მრავალი ღონისძიება, რათა შეეგროვებინა და დაეცვა მტკიცებულებები თემირლანის გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით, გამოკითხა მოვლენებში მონაწილე თითქმის ყველა პირი, პოტენციური მოწმე და ჩაატარა არაერთი მნიშვნელოვანი ექსპერტიზა. შემთხვევის ადგილის სათანადოდ დაცვის საკითხის შეფასებისას, სასამართლო დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ სერიოზულად დაშავებული პირისთვის პირველადი დახმარების გაწევის აუცილებლობა უპირატესია შემთხვევის ადგილის დაცვის მოთხოვნებთან შედარებით.

ევროპულმა სასამართლომ, ასევე, დადებითად შეაფასა მომჩივანთა მონაწილეობა გამოძიების პროცესში, ვინაიდან მათ ჰქონდათ საშუალება, გაცნობოდნენ გამოძიების მასალას, ხოლო მათი მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით, დაკმაყოფილდა და სწორედ მათი მოთხოვნით დაიკითხნენ დამატებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე და ოფიცრები.

შესაბამისად, სამსახურს მიაჩნია, რომ, ვინაიდან ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევები არ არის იმ ხასიათის, რომელიც გამოძიების განახლების საფუძველი გახდებოდა და აღნიშნული ხარვეზების/დარღვევების გამოსწორება შეუძლებელია, თუნდაც ახალი გამოძიების პირობებში, ხელახალი გამოძიების ჩატარება ვერ იქნება გონივრული და მიზანშეწონილი. სპეციალური გამოძიების ცნობით, როგორც მაჩალიკაშვილის, ასევე სხვა საქმესთან დაკავშირებით, სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გაეგზავნება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

რა თქმა უნდა, სპეციალური გამოძიების ეს გადაწყვეტილებაც მითქმა-მოთქმის საბაბი აუცილებლად გახდება, მაგრამ ფაქტია, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება საქართველოში ისეთ უწყებას დაევალა, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტთან და დიდი ნდობითაც სარგებლობს.

„საერთო გაზეთის“ ფურცლებზე ვწერდით, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად, ჰაგის სასამართლოს წევრი მოსამართლეების რიგებში უკვე ქართველი მოსამართლეც არის - საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი გოჩა ლორთქიფანიძე, რომელიც კონკურსის შედეგად 9 წლის ვადით იქნა არჩეული.

ახალი ინფორმაციით, ევროპის ადვოკატთა ასოციაციას ორი წლის ვადით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი თავმჯდომარე დავით ასათიანი უხელმძღვანელებს, რომელიც ხმათა უმრავლესობით აირჩიეს.

ევროპის ადვოკატთა ასოციაცია (AEA-EAL) 1986 წელს ევროპელმა ადვოკატებმა ბრიუსელში დააფუძნეს. ორგანიზაცია ევროპის მასშტაბით ადვოკატთა ასოციაციებს, იურიდიულ ფირმებსა და ინდივიდუალურ ადვოკატებს აერთიანებს. ასოციაციის საქმიანობა მიმართულია ევროპის ქვეყნებში ადვოკატის პროფესიის მხარდაჭერის, ადვოკატთა ასოციაციების გაძლიერებისა და სამართლის უზენაესობის დამკვიდრებისკენ.

ასე რომ, საქართველოსა და ევროპის ურთიერთთანამშრომლობა განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, კი არ შეწყვეტილა, როგორც ამას ქვეყნის არაკეთილმოსურნენი გვიკიჟინებენ, არამედ, ბოლო ფაქტის გათვალისწინებით, აქტიურად გრძელდება.

ლევან ჭიღლაძე

საქართველო-ჩინეთი - ახალი თავსაჭეხი

11 გვ.

კაცი“, რომელთა შორის პირველ ადგილს იკავებს ჩინელი!

სიმართლე და უცვლელი ჭეშმარიტება მითხრა ბატონმა დავით იაკობიძემ ოც წელზე მეტი წლით წინათ, რომ „ფულიანი კაცების რეიტინგში“ მეორე ადგილს იკავებს პროტესტანტი, მესამეს — ებრაელი, მეოთხეს — კათოლიკე, მეხუთეს — მართლმადიდებელი. მუსლიმანური სამყარო სრულად ვაჭრობაა, მაგრამ რესურსების გამღებია, არ არის დივერსანტი. პროტესტანტი, მაგალითად, ყველანაირად დივერსანტია, ბუნებაში

არ შედის, როგორც ორგანული ელემენტი. ჩინელი თუ ბრინჯის გასათოხნად პატარა თოხს მოკლე ტარს გაუკეთებს და მოკაკული სათითაოდ გათოხნის ყველა ძირს, ევროპელი გრძელ ტარს გაუკეთებს, დაარტყამს ერთს და მოგლეჯს ძირიანად — ის დივერსანტია და ეს ჩანს ბიზნესშიცა და სხვა სფეროებშიც.

საქართველო, სხვადასხვა ფაქტორების გამო ისეთი ქვეყანაა, რომ როკფელერები არ სჭირდება — აქ დიდ ფულს ვერავინ იშოვის. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი დიდი ბიზნესმენები საქართველოზე არ მუშაობენ, დიდ ქვეყნებში საქმიანობენ — აქ, ასე ვთქვათ, „ერთობიან“, ქველმოქმედებენ. საქართველოში არ არის ის სამოქმედო ასპარეზი, სადაც უშველებელი კაპიტალისტი აღმოცენდება. საქართველო შეიძლება იყოს მხოლოდ რამდენიმე დიდი კორპორაციისა და მესამე კლასის მცირე ბიზნესის ადგილი, შესაბამისად, არსებითი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ რამენაირად ხელი შეეწყოს ამ მცირე ბიზნესებს, რომ მათი შემოქმედებითი აქტივობა და მათი მოთხოვნები დამაკმაყოფილებელი მაინც იყოს.

ყოველთვის არსებობს ფორმების გამოძებნის საშუალება, როდესაც მსხვილ კაპიტალთან ერთად შესაძლებელია თანაარსებობა — ასეთ შემთხვევებში, ჩვენ, მცირე კაპიტალის მქონე, ხელს ვერ შევუშლით მას, დიდი კაპიტალის მქონეს, ის კი დაგვეხმარება და განგვავითარებს ჩვენ.

მაგალითად, მე მაქვს პატარა სასტუმრო, ათკაციანი და წარმოიდგინეთ, ვითომ დაინახა ვიღაცამ, მოიწონა და ჩამისახლდა, მაგრამ ეს კაცი აღმოჩნდა ნარკოდილერი, მე გაჭირვებული რას ვშვრები, როცა არც ძალა მაქვს და არც შესაძლებლობა, რომ მას მოვერიო? — ასეა, როდესაც მცირე კაპიტალი მაქვს იმ სფეროში, რომელიც დიდი კაპიტალის პრეროგატივაა. ჩემი საქმე რომ კარგად წავიდეს და დაცულიც ვიყო, მე მივალ, ვთქვათ, „შერატონთან“, როგორც სასტუმროების ქსელის „ვეშაპთან“ და ვეტყვი, ჩემი მოგებიდან ყოველწლიურად მოგცემ 10%-ს, შენ კი დამიცავი შენი სახელითა და ავტორიტეტით. აი, ეს არის ტრანსეროვნული კორპორაცია. მე, ამ სფეროში აბსოლუტურად ჩაუხედავმა თუ ამდენი მოვიაზრე, ვინც ამ სფეროშია, ვერ იაზრებს? — ამიტომ, ჩინეთის საწინააღმდეგოდ ჭიჭყინი ერთიანი მძივის ერთი კუნწულაა და სხვა არაფერი, ძაღლი იყეფებს, ქარავანი — გაივლის!

ძალიან საინტერესო ამბავს შევესწარით — საქართველოში ჩინეთის საელჩომ თითი დაუქნია საქართველოში აშშ-ის ელჩს, ამერიკელმა დიპლომატმა განცხადების გაკეთებისას არ გამოიჩინა პროფესიონალიზმიო და მკაცრად დაგმო მისი ენის რატრატი, რომლითაც თეთრი ძაფით ებმოდა ერთმანეთს ჩინეთი, რუსეთი და საქართველო. რატომღაც დაავიწყდა ქალბატონ დანიგანს სი ძინპინისა და ბაიდენის მიერ შეთანხმებული „სან-ფრანცისკოს ხედვა“...

თავდაპირველად, მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ დიდი ქვეყნები, რომლებსაც დეპოზიტები დოლარში ჰქონდათ, ევრო არ აინტერესებდათ, აშშ შეშინებული იყო ევროს განვითარების გამო. იმ დროისთვის, მაგალითად, ჩინურ დიასპორას თავიანთი დეპოზიტები დოლარში ჰქონდათ, დაახლოებით 2.5 ტრილიონი დოლარი იყო და ახლა რამდენი იქნება! წარმოიდგინეთ, ერთ დღეს რომ გამოაცხადოს ჩინეთმა, აღარ მინდა ჩემი დეპოზიტები დოლარზეო, რა დაატყდება თავს აშშ-ს, ხვდებით?

„ბრიქსი“ რანაირად გადაწონის ე. წ. დასავლურ გაერთიანებებს თავისი, ჯერ მხოლოდ ჩინეთის კუთვნილი ამერიკული დოლარის ტრილიონებით, ამას რომ განიხილავენ კოლექტიური დასავლეთის ეკონომისტები, ამიტომ ეძლევა ამხელა მნიშვნელობა რუკაზე მიკარგულ საქართველოსა და რუკაზე გადაჭიმული კომუნისტური ჩინეთის სტრატეგიულ პარტნიორობას, თორემ ჩვენ ვის დავკარგვივართ!..

მაია ჭელიძე

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა

ბელა გველესიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, სტუ-ს საპატიო დოქტორი, პოლკოვნიკი გოგი კვარაცხელია მეტად საინტერესო მეცნიერ-მკვლევარია. ის სამეცნიერო წრეებში იმითაც გამოირჩევა, რომ მას აქვს გამოქვეყნებული უამრავი ნაშრომი და პატენტები განსაკუთრებით ტექნიკის სხვადასხვა სფეროში და „თეორია კლასიკურ მექანიკაში“.

„თანაბარი წონის, მრგვალი, ბრტყელი ან ბადროს ფორმის მბრუნავი სხეულის სიჩქარე ტოლი ძალების მოქმედებით, ყოველთვის მეტია ნებისმიერი კონუსური ფორმის მბრუნავი სხეულის სიჩქარეზე და შესაბამისად ნაკლებია ხახუნის და გრავიტაციის ძალთა კოეფიციენტი.“

$$= F \to \underset{g\cdot l}{\overset{G}{M}} V > \underset{g\cdot l}{\overset{G}{M}} V \approx <^{Q}_{G} FK$$

ვაქვეყნებთ პირველად ბატონი გოგის ჯერჯერობით ამოუხსნელ ერთ ამოცანას და „სათქმელს“ ციტატებად

ამოცანა №1



მათემატიკა ხსნის გონებას,
გეომეტრია განზომილებას,
ფიზიკა სამყაროს საიდუმლოს

აბა, ცადე!

ორი მახვილკუთხა სამკუთხედის კვეთით მიღებული რომბისა და ამ სამკუთხედების გადაკვეთის წერტილებზე, ფუძის და გვერდის პარალელური წრფეების გავლებით მიღებული გეომეტრიული ფიგურები, კვეთით მიღებულ ერთ მართკუთხედში, მივიღებთ: რამდენ მართკუთხედს, რამდენ კვადრატს, პარალელოგრამს, სამკუთხედს, ექვსკუთხედს, ტრაპეციას, პირამიდის გვერდხედსა და რომბს?
გაითვალისწინეთ! მართკუთხედში და რომბის გარშემო პარალელური წრფეების გავლებით მიღებული ყოველი ახალი გეომეტრიული ფიგურების გამოკვეთისას, წინა ფიგურები იკარგება, უფრო სწორად, არ იკარგება, არამედ რჩება რომბის მეხსიერებაში.
მოცემულია სამი საწყისი ფიგურა: გააგრძელეთ და დათვალეთ მანამ, სანამ არ მიიღებთ კიდევ ოთხ რომბს, სამკუთხედების ფუძის პარალელურად.



გ. კვარაცხელიას არასტანდარტული ფრაქტალის
გეომეტრიული ფიგურები

იცოდე!

„ადამიანს ორი ყურით შეუძლია მოგესმინოს თავი ერთი ყურიდან, ვიდრე მეორე ყურს“

„შეიძინეთ ისეთი სიცოცხლე, რომელიც სიკვდილითაც ერთად შეგყვდეს“

„ადამიანს თავისუფლად არ აქვს ზღვარი ბუნებაში, არც ბუნებისას ადამიანში“

„ყველა უამრავ ინფორმაციას რომ ფლობს, მიგვიჩნია ძველის გადმოცემაში“

„ნიფთად ნაძიდალა იყო მუდამ, ანის და იარეშა ჭინასძირთაზა ერის დასაქმის!

„თვით ზეცას ანა აქვს იმდენი სიგრძე სიგანე, რამდენიც ერას“

„იტაწლის ძეგნაში დრის ნუ დასაკარგავ, თავადაც ერთად მიგძეგნის“

„ეა, დედას! მაინც და მაინც სიკვდილის ჭინ რომ გვასხენდეშა, მანამდეც ერდა გვასხოვდეს“

„ცხოვრეშა იმდენ ფერეშია მიცემუდია, რომ მხაგვარიც ეძლიერია მის ჭინაში“

„ადამიანში სხვა ადამიანის ნასვის მცდელობაა, აზრისლიდ დროის კარგვა“

„ეშმაკთან ცხოვრეშაზე ფიქრიც დასაშვებია მეცდინაა!

„ვრეზია გასზიდვასა ერთი მგალეფლია, ვიდრე მიზიდვის დროს!

„ფიხანში რიგია ერდა იყო, ფირში სადია ერდე!

„სამეგლითამეგლი ცოდვა – ნაყადი ცოდნა!

„სიმართლე, ადამიანის მარგალი დასაჩენის – სიმართლეა“.

სტუ-ს მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების
საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევითი ცენტრის
უფროსი სტუ-ს საპატიო დოქტორი
პოლკოვნიკი გრიგორი (გოგი) კვარაცხელია

გნებავთ ნებაყოფლობითი სიკვდილი?

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სგ N22)

ზუსტად არ მახსოვს, რომელი წელი იყო, ინგლისში 1 200 000 სული საქონელი დაკლეს, გაცოფდნენ, ტვინის უჯრედებმა ვერ აიტანეს ანტიბიოტიკები და სტიმულიატორები. ეს ხორცი შეიძინა პოლონეთმა და ესპანეთმა, შემდეგ კი თავისად გაასაღეს.

პატარა ჯიხურები რომ იყო, ხომ გახსოვთ, ყველგან ჩამოპორწიალებული იყო იმ ხორცისგან დაშზადებული ძეხვი, თვეობით ეკიდა და არ ფუჭდებოდა, არც ყროლდებოდა, არც ბუზი ავჯდებოდა და არაფერი მოსდიოდა თაკარა მზეში. აბა, ის ძეხვი იყო?

მერე ესპანელებმა შეასაღეს რუსებს თავისად თუ გარიგება შედგა, რას გაიგებ, ფაქტია, იჭერდნენ „ოსტანკინოს“ ხორცკომბინატის დირექტორს, 2 000 ტონა ჰქონდა შესყიდული და შეაჭამა მოსკოვს. რომ გასკდა ამბავი, ხელები გაშალა, აგერ მაქვს სერტიფიკატი, რომ მე ესპანური ხორცი შემოვიტანეო. იურიდიულად მართალი იყო, წაართვეს ფული და დაანებეს თავი, მაგრამ, სინამდვილეში, იმ გაცოფებული ძროხების ხორცი იყო.

რაც საკაშვილის დროს ხდებოდა, კომუნისტების დროს ასე

რომ გეკეთებინა, დაგიჭერდნენ და თუ არ დაგხვრეტდნენ, ჩაგალპობდნენ ციხეში, მაგრამ ისინიც და ესენიც უარესები გამოდგნენ.

საქართველოს შეუძლია, 75% საკუთარი მარცვლეული მოიყვანოს, პროდუქტი საკუთარი ჰქონდეს, მაგრამ „სალიარკას“ რომ ვერ ჩაასხამს კაცი, რითი მოხნას? 65-70 თეთრი ღირდა ბენზინი აზერბაიჯანში, შემოიტანა „სოკარმა“ იაფად და დაესივნენ ესენი, ააწევინეს ფასი და განსხვავებას ესენი იდებდნენ ისევ ჯიბეში.

— სასარგებლო წიაღისეულის გარდა, ახლა რა გვაქვს გასატანი...

— არ გიშვებენ, რომ იყოს, არ უნდათ, თორემ ჩვენი მიწა ისეთია, ყველაფერი მოდის, თანაც ეკოლოგიურად სუფთა, იმიტომ, რომ შემოტანილში ფული კეთდება... ახლა თითქოს რაღაც ძვრებია, მაგრამ ევროკავშირს რომ გაიძახიან, მართლა რომ მიგვიღონ, იცით, რა მოგვივა? ასე რომ, ნანოტექნოლოგიას მივხედოთ... შეხვალთ აფთიაქში, ეტყვით, ერთი აბი კუპატი მომეცითო, გატეხავ, რამდენ ნაწილადაც გინდა, გადაყლაპავ კუპატს და გაივლი...

— კოსმონავტებს რაღაც მსგავსი არ აქვთ?

— კი, მაგრამ ჩურჩხელა და ტკბილი კვერი არ შეცვალეს, მათ კვების რაციონში აუცილებლად არის.

მსოფლიოს მოსახლეობა 6 მლრდ იყო და გადაშორდა კარგა ხანია, არ ჰყოფნის საკვები. მთელი ინსტიტუტები მუშაობენ ამ პრობლემის გადაჭრაზე და მოიგონეს მარტივი ხერხი, შექმნეს გენმოდიფიცირებული საკვები, რომლის ინტენსიურად მიღების შემთხვევაში, მანამდე თუ არ მოკვდა, 40-50 წელს არ გადასცილდება ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა და, რადგან ჩვენ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი გვაქვს, პრეტენზიაც არ გვეთქმის, ამ უმდიდრესი მიწის პატრონებმა უნდა ვთქვლიფოთ ის, რასაც გადმოგვიგდებენ...

ხორცში ცილის დაშლა იწყება დაკვლიდან ექვს საათში. ღამენათევი ხორციდან სხვა გემოს სოუსი გამოდის, ახალი დაკლულიდან — სხვა. საქონლის ხორცის შენახვის ვადა მაცივარში არის 4 თვე, ღორის 2-3 თვე, როგორც კი გადაცილდება ამ ვადას, დანიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, ხელს არ მოკიდებენ, აგზავნიან აქეთ. ასეა წამლებიც, ცოტა რომ აკლია ვადის გასვლას, 20-30%-ად ყიდულობენ, შტრიხკოდების ცეხია აქ, აბრახუნებენ იმას და ხუთი წლით უგრძელებენ ვადას, მერე იძახიან, არ მშველის წამალიო. შველას ვინ ჩივის, იქით რომ არ მოგწამლა, ის უნდა გაგიხარდეს...

თევზით მოწამვლაზე რომ არის მუდმივად ლაპარაკი, — თევზი, რაც შემოდის, გაყინულზე მაქვს საუბარი, ყიდვისას მისი გარჩევა შეგიძლიათ? თევზმჭერ ყველა გემს მაცივარი არა აქვს (მომენტალური გაყინვაა აზოტით), ხმელეთზე უნდა გამოიტანოს და მერე გაყინონ, საკმარისია, ექვსი საათი გავიდეს, თევზი იწყებს ლპობას, ანუ ნახევრად გაფუჭებულია და ისიც პირდაპირ აქეთ მოდის. სანამ არ გაადნობ და არ დაინახავ საკუთარი თვალით, რომ ხორცი ფხასაა დაცილებული, ვერ ატყობ, რომ არაა ჯანსაღი პროდუქტი. ადამიანს, ენანება ნაყიდი თევზის გადაგდება და მაინც ჭამს, ფული ენანება, ძვირი დაუჯდა, მაგრამ საკუთარ სიცოცხლეს რომ დებს სასწორზე, ამაზე დაფიქრება არ უნდა.

— მახსოვს, 2011 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონში“ ცვლილებები იგეგმებოდა, რომლის მიხედვითაც, იმავე წლიდან გამკაცრდებოდა ზედამზედველობა ადგილობრივი წარმოების პროდუქტზე. ასევე, დაიწყებოდა ყველაფრის ინსპექტირება, რაც საკვები პროდუქტების დამზადებასთან არის დაკავშირებული. მე მხოლოდ მადონა კოიძის დასაფასებელ საქმიანობას ვხედავ, აღნიშნული კანონის შემოღება-არშემოღებისთვის აღარ მიმიდევნებია თვალი...

— მეც სხვა სფეროში ვარ ახლა, თუმცა ეს კი შემიძლია ვთქვა: ჯერ ხომ ისედაც ახრჩობდნენ მეწარმეებს და შემდეგ მთლად დასამარება მოუნდომეს. კი, ბატონო, კუსტარული საამქროები საერთოდ უნდა მოისპოს, დიდი საწარმოები — შემოწმდეს. საკაშვილს ადგილობრივი წარმოების გაქრობა უნდოდა, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობისა. ამ მხრივაც სულზე მოგვისწრო ბიძინა ივანიშვილმა...

— ბენდუქიძის ნათქვამი მახსოვს, რად მინდა ატმის მოყვანა და ამაზე მოცდენა, როცა შემიძლია, ატამი ესპანეთიდან შემოვიტანოო...

— ამაშია საქმე! არ მესმის, ამ ბარაქიან მიწა-წყალზე მოყვანილი, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციაა საჭვო და რასაც აქ ეზიდებიან გარედან, ის ნაგავია სასარგებლო?

— ბოდიში, გაწყვეტინებთ! ორი წლის წინათ ჯავახეთში ვიყავი. მოგეხსენება ჯავახეთის კარტოფილი! მითხრეს, სეზონზე უნდა ნახო, იქიდან თურქული ტრაილერებია მომდგარი, აქედან ჩვენი და თავიანთ კარტოფილს ცვლიან, თურქები ფულს ამატებენ. ჩვენ გლეხს რა ენაღვლება, კარტოფილიც რჩება და ფულიც, არადა, აქაურ მყიდველს ჰგონია, ჯავახეთის კარტოფილს ყიდულობსო, — გადავირიე...

— სურსათზე კონტროლი გამკაცრებულია, მაგრამ ხვრელები არსებობს — ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებთანაც „დალაპარაკება“ შეიძლება... თუკი

რამე შხამი და უბედურება შეიძლება დაატნიო საკვებში, ზუსტად იმ დაწყევლილი პროდუქტებით შემოდის, რასაც წარმტაცი შეფუთვა აქვს და „მეგობარი ქვეყნების წარმოებული“ ჰქვია. კრემიანი ნამცხვარი რომ ერთი წელი არ გაფუჭდება, ის რანაირად იქნება ჯანმრთელი? თვითონ არ აჭმევენ იმ ნაგავს თავის ხალხს და ჩვენზე ასაღებენ...

დიდი საწარმო რომ არის, სადაც ჰიგიენის წესები მაქსიმალურად არის დაცული, მუშებიც არ გამოიყურებიან საეჭვოდ და არც ინვენტარი, მაგრამ ყველაფერი ემულგატორებით არის გაჯერებული, ეს არაფერია?

— ბოდიში, ისევ გაწყვეტინებთ! ამასწინათ სოციალურ ქსელში ვნახე, ყმაწვილს ეკავა სოსისის შეკვრა და შემადგენლობას კითხულობდა — ყველაფერი ეწერა ხორცის გარდა. მთლად გადასარევი იყო დანართი — შესაძლოა შეიცავდეს ხორცსო, არ მახსოვს, რისას და რაღაც, ნული მთელი რაღაც მეათედი ეწერა...

— „შირნჰოფერს“ ვინმე ამოწმებს? — წლების წინათ ტომრებით იყო ჩაყრილი მის წარმოებულ პროდუქციაში ემულგატორები და, შესაბამისად, თვეობით არ ფუჭდებოდა მისი ძეხვები მაცივრის გარეშე. E400 და E280-ის შემცველი მოხარშული ძეხვეული შეგიძლიათ, სამი თვე შეინახოთ მაცივრის გარეშე. რატომ? მოგცემთ ამ ჯგუფის ემულგატორების ჩამონათვალს და ერთხელ რომ ნახოთ გამადიდებელი შუშით, რა პროდუქტი რას შეიცავს, ნომრების დამახსოვრება არ არის საჭირო, პროდუქტს დაიმახსოვრებს ადამიანი და აღარ იყიდის.

„საზიზღარი კომუნისტების დროს“, მოხარშული ძეხვეული რომ მზადდებოდა, 48 საათის შემდეგ ვადა გასდიოდა, იმიტომ, რომ სუფთა იყო...

საერთოდ, რაც თურქეთიდან შემოდის, იმისათვის, რომ „სიცოცხლე გაუხანგრძლივდეს“, ემულგატორებით არის გაძეძგილი. რა, იქაური ქათმები განსაკუთრებულ კვეცხებს დებენ, თუ ძროხას აქვს განსაკუთრებული რძე... და არა მხოლოდ თურქეთიდან. ვთქვათ, ევროპიდანაც იგივეა, განვითარებად ქვეყნებს „ევროსტანდარტები“ არ ეხება... ხალხმა ოღონდ იაფად ნახოს შესაჭმელი და კუჭი ამოივსოს დღეს, ზეგ მოკვდება თუ დარჩება, აინტერესებს?

სიმსივნური, ალერგიული და კუჭ-ნაწლავის დაავადებები რომ კატასტროფულად გაახალგაზრდავდა, სწორედ ამ არანორმალური საკვების მოზღვავებით არის გამოწვეული...

ქართულ პროდუქტს ძლივს წააწყდები სადღაც, ვაშლიც კი აღარ არის დახლზე ქართული. გაიხედავ და თვალისმოსატყუებლად აწყვია ლამაზ-ლამაზი ვაშლები; გამოიხედავ და სირიიდან თუ ეგვიპტიდან შემოტანილი ხილ-ბოსტნეულია; იქით მიიხედავ და ვიეტნამის კიტრია. ქართულს და მათთან შედარებით უშნოს არ ყიდულობს გაბრიყვებული ადამიანი, ლამაზი მოსწონს. დაიხსომე, მაია, რაც ლამაზია და უდეფექტო, თანაბარი, წარმტაცი და გეძახის „მიყიდეო“, არ იყიდო!

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99